წლიწადი პირველი. № 1. ფასი 10 კაპ. კვირა, 15 მარტი 1909 წ.

# იალქანი

ყოველკვირეული სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციის დროებითი ადრესი: Тифлисъ, Елисаветинская ул. № 17. Типографія М. Д. Кикнадзе.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Г-ну Михаилу Давидовичу Кикнадзе, Елисаветинская ул. № 17.

**შინაარსი**: პოლიტიკური ვითარება.—კულტურულ-განმანათლებელ მოქმედების შესახებ, ლ. კანდელისა.—რა მოხდა? გს. ურ—ძი—სა.—დუმილი (ლექსი) ქუჩიშვილისა. — Materialismus Militants. გ. პ—ისა. — პატარა ფელეტონი Rigorista—სა. — რუსეთის პრესა. — შინაური ამბები. — კარლ მარქსი და ჰერბერტ სპენსერი (ლექცია მ. კოვალევსკისა).—უცხოეთი. — განცხადება.



# პოლიტიკური ვითარება

—:—

### თფილისი, 15 მარტი

მიდის თვეები, გრძელი, მოსაწყენი თვეები, მიდის წელიწადები და პირქუში, ტყვის ფერად გადალესილი ცა კვლავ უძრავათ, გაქვავებულათ გადაგვხურვია თავზე... ჩვენ იქავე ვდგევართ, იმავ „ტუპიკში" მოტანებული, სადაც ვიმყოფებოდით... მაგრამ სიცოცხლეს მონატრებული ადამიანი ვერ ურიგდება ასეთ ყოფას; აზრი და გრძნობა გამწარებით ეძებს გამოსასვლელს. და რაც უფრო საგულისხმოა, მწვავე უკმაყოფილებით არის მოცული არა მარტო რომელიმე კლასი ანუ საზოგადოებრივი ჯგუფი, არამედ მთელი ქვეყანა, ყველა პოლიტიკური წრეები უკიდურეს მემარცხენეებიდან დაწყებული და შავრაზმელებით გათავებული მთელი პრესსა და საზოგადოება იმავ ჭირ-ვარამს დასტრიალებს, იმავ საბოროტო საკითხებს უვლის გარს და ზოგჯერ სასოწარკვეთილების გამწარებით ისმის ძახილი: ნუ თუ აღარ არის გამოსასვლელი ამ დაწყევლილ „ტუპიკიდან"?!.

მთავარი ყურადღება ყოველი მხრიდან მიზიდულია სახელმწიფო საქმეებისაკენ, პოლიტიკურ ვითარებისაკენ.

„ჩვენმა სახელმწიფომ დაჰკარგა თავისი პასპორტი"... არა გვგონია ევროპის მთელ პოლიტიკურ ისტორიაში იპოვებოდეს ისეთი სახელმწიფო აქტი, რომელიც იწვევდეს იმდენ „ნედორაზუმენიას", როგორც 17 ოქტომბრის მანიფესტი... კამათი და საკმაოთ აღელვებული, თითქმის სისხლის მომასწავებელი კამათი დაიწყო მისი გამოცხადების მეორე დღიდანვე... და ეს (კამათი) არამც თუ არ სცხრება, პირიქით უფრო და უფრო მწვავდება და მეტათ სერიოზულ საშიშრობასაც გვიქადის. მართლაც და ხომ არ შეიძლება დამშვიდებულათ არსებობდეს სახელმწიფო, რომლის ხასიათის გაგება და მართვა-გამგეობის ფორმების გამოცნობა შეადგენენ კამათის საგანს".

ასე სწერს რეიქციონურ, ნაციონალისტური გაზ. „Свѣтъ"-ი. (26 თ. თარ.), რასაც კადეტების ორგანო „რეჩი" შენიშნავს: „ათასჯერ ვეთანხმებით მათ; დიახ, „პასპორტი დაჰკარგა", ანუ, უკეთ, სცხოვრობს ორი პასპორტით და ორივე კი ყალბია" (№ 56) მართლაც და მდგომარეობა კვლავ იმდენათ ორჭოფია, რომ ოფიციალურ „კონსტიტუციონალისტებს" სრული საშუალება აქვთ განაგრძონ—როგორც ამბობს ბ-ნი როსლავლევი, „С. Петер. Вѣд."-ში—„კონსტიტუციონალისტებს ყურში ეუბნებოდენ, ჩვენა გვაქვს — კონსტიტუცია, ხოლო აბსოლიუტისტებს კი ჩასჩურჩულებდენ — ჩვენში თვითმპყრობელობაა". და თუ მაინც და მაინც გადაჭრილ პასუხს მოითხოვთ, ჩვენ იმავ ბ. როსლავლევის სიტყვით უნდა ვთქვათ: „ბატონებო, ჩვენში კონსტიტუცია არ არის, დარჩა ისევ შეუზღუდველი თვითმპყრობელობა. მარკოვი სამართლიანათ განმარტავს ჩვენს რეჟიმის — დაუჯერეთ!". მაგრამ ისიც კი სათქმელი არის, რომ სახელმწიფო დუმის არსებობას ოცნების სუბუქი ფრთით გადავყევართ კონსტიტუციონურ ქვეყანაში.

რას წარმოადგენს იგი სინამდვილეში?

სახელმწიფო დუმა იგივეა, რაც იყო და იქავეა, სადაც იდგა იმ თავიდანვე. იგი დაჟინებით ერთსა და იმავე ადგილს სტკეპნის. დუმა, ოქტომბრისტების მეოხებით, ბეჯითად მისდევს მთავრობისაგან აღებულ კურსს. და ასეა მიუხედავად ყველა საშინაო თუ საგარეო დიდ პოლიტიკურ მოვლენათა, გამარჯვება ისევ და ისევ მთავრობის მხარეზე რჩება ყველა საკითხებში. როდესაც ამას წინათ ყუმბარასავით გასქდა აზეფ-ლოპუხინის საქმე, რამაც თავზარი დასცა სახელმწიფოებრიობის თვით უერთგულეს დარაჯთ, და რამაც ყველასათვის ნათელჰყო, რომ მთავრობა — როგორც შენიშნავდა გაზ. „Рус. Вѣд." — „ალერსება იმ გველს, რომელიც მასვე უჭამს გულს", პრემიერ მინისტრმა წარბ შეუხრელათ განაცხადა: ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ფაქტი იმის დასამტკიცებლათ, ვითომ ჩვენს „თანამშრომლებს" წილი ედოთ იმ სამარცხვინო საქმეებში, რაზედაც მიგვითითებს ოპოზიციაო. დუმამ უარჰყო შეკითხვა აზეფის საქმის შესახებ და მით დაადასტურა მთავრობის ჩვეული გზა-კვალი. როდესაც სიტყვა ჩამოვარდა განსაკუთრებულ კანონებსა, გაძლიერებულ დაცვის წესებსა და სხვა არა ჩვეულებრივ მდგომარეობათა შესახებ და ოპოზიცია შენიშნავდა: „რას წარმოადგენს ყველა ეს, თუ არ უკანონობის ორგანიზაციას და დესპოტიურ ანარქიის გამოცხადებასო" (როდიჩევი); როდესაც ბიუჯეტის სხვა და სხვა სმეტების განხილვის დროს ხალხის წარმომადგენელთ სინათლეზე გამოიტანეს მთავრობის მთელი საშინაო პოლიტიკა და გამომჟღავნდა, „სურათი ნაციონალურ გაკოტრებისა, რომელიც შედეგი არის იმ გარემოების, რომ სახელმწიფოს ყველა ძალები მიქცეულა საშინაო ბრძოლაზე საკუთარ ხალხის წინააღმდეგ" (Рѣчъ № 55), სახ. დუმამ კვლავ დასტური დასცა მთავრობის პოლიტიკას. როდესაც, იუსტიციის სამინისტროს სმეტის გამო, ოპოზიციის მხრიდან აღნიშნავდენ „რუსეთში სასამართლო გადაიქცა იარაღათ ქვეყნის საუკეთესო, ცნობიერ და შემოქმედ ძალების დასამორჩილებლათო" (გეგეჭკორი) და მთელი ოპოზიცია ერთხმათ აღიარებდა, სასამართლოს მიუდგომლობა და დამოუკიდებლობა გაბათილებულიაო, იუსტიციის მინისტრის პასუხი იყო: მსაჯულთა დანიშვნის და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვან-გადმოყვანის შესახებ მე სახ. დუმას არა ვცნობ, პასუხის მგებელი ვარ მხოლოდ ტახტის წინაშეო; და თუ დუმას არ მოსწონს ის კანონები, რომლის მიხედვით სასამართლოს გამო-

აქვს ხოლმე განაჩენები, ამისთვის პასუხი თქვენ თავსვე უნდა მოსთხოვოთ, რადგან კანონმდებელია სახ. დუმა და არა სამინისტროვო. კოლოს წინადადებაზე, რომელიც გამოსთქვამდა სურვილს, რომ პოლონეთში მსაჯულის თანამდებობის მისაღებათ პოლონელობა არ წარმოადგენდეს დამაბრკოლებელ გარემოებას, მინისტრმა შჩეგლოვიტოვმა განაცხადა: „დიდი შეცდომა იქნებოდა სასამართლოს კარი გაგველო პოლონელებისათვის; იგინი სასამართლოს გაანაგვიანებდენ, გააფუჭებდენ იმ საქმეს, რომლის სახელმწიფო მნიშვნელობა მათ არ გაეგებათო“... მკითხველისათვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ მთავრობა ამას ეუბნება არა მარტო პოლონელებს, არამედ რუსეთში მცხოვრებ ყველა არა რუს, დაჩაგრულ ერებს. დუმამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ და არა პირდაპირ ჭეშმარიტება - სამართლიანობათ აღიარებს იუსტიციის მინისტრის მოხსენებულ განცხადებათ. ამას დასძინეთ ისიც, რომ შავრაზმელების მიერ წამოყენებული შეკითხვა კავკასიის საქმეების შესახებ დუმამ არც მიიღო და არც უარჰყო; ხოლო გაატარა ის აზრი, რომ კავკასიაში მოისპოს ყოველივე აჩრდილი ავტონომიისა და ამ კუთხის მთელი მართვა-გამგეობა დაუქვემდებარდეს პირდაპირ ცენტრალურ მთავრობას. ამით დუმამ გაფრთხილება მისცა აქ მცხოვრებ დაჩაგრულ ერებს, არ იოცნებონ რაიმე გარანტიებზე თავიანთ ნაციონალურ თვითარსებობა - განვითარების უზრუნველსაყოფათ...

ერთის სიტყვით, სახელმწიფოს მთელი ვითარების თვალის გადავლება დაგვიხატავს ერთსა და იმავეს: „lasciate ogni speranza“ („დატოვეთ ყოველივე იმედი“)... მაგრამ ასეა მხოლოდ ერთი შეხედვით. იმავე ვითარების უფრო ბეჯითი დაკვირვება და ღრმა ანალიზი სულ წინაალმდეგს გვამცნებს.

განმათავისუფლებელი მოძრაობა, მართალია, შეჩერდა, მაგრამ განახლების პროცესი მაინც სწარმოებს. მძიმეთ, დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც უტყუარათ მივდივართ იმ საქმის განხორციელებისკენ, რაიც მიზნათ დაისახა განმათ. მოძრაობამ და რაიც უმაღლესათაც იქნა აღიარებული 17 ოქტ. მანიფესტით. ეს პროცესი არა სჩანს ცხოვრების ზედა პირზე, რადგან ღრმათ ჩახვეულია საზოგადოების გულში; იგი უჩინარია, რადგან ერთობ ჩამობნელებულია პოლიტიკური ატმოსფერა. აღნიშნულ პროცესის არსებობას კარგათ ჰმოწმობს თუნდ იმავ სახელმწიფო დუმის საქმეთა მსვლელობა, იქ მომუშავე საზოგადობრივ ძალთა რყევა, ურთიერთშორისი დამოკიდებულება და მოქმედება.

დიდათ საგულისხმოა კადეტების, რუსეთის ამ ხვალინდელ მესვეურთა, ევოლიუცია. ესენი, რაც დრო მიდის, იმდენი უფრო გაბედულათ და მტკიცეთ დგებიან ოპოზიციის გზაზე. ასე, მაგ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სმეტის განხილვის დროს, როცა ოპოზიციის მეოხებით საბიუჯეტო დებატები ავიდა სათანადო სიმაღლემდე და თვალ წინ წარმოდგა სახელმწიფოს მთელი საშინაო პოლიტიკა თავის სიგრძე-სიგანით, მათ ფრიად თვალსაჩინო ნაბიჯი გადასდგეს ხსენებულ გზაზე. მათ საკმაოთ გასაგებათ უარჰყვეს სამინისტროს მთელი სმეტა აშკარათ დაჰგმეს მთავრობის მთელი სისტემა. კადეტების ფორმულა, ამ საკითხის შესახებ გამოტანილი, და მათი ცენტრალური ორგანო აცხადებენ გადაჭრით: „(როგორც წარსულში) ამის შემდეგაც არ შეიძლება ველოდოთ მთავრობის მიმართულების შეცვლას—იმ უბრალო მიზეზით, რომ საშუალებანი უნდა შეესაბამებოდენ მიზანს, მთავრობის მიზანი კი იმგვარია, რომ ამის მიღწევა მას არ შეუძლიან ისე, თუ არ აწარმოა და მუდამ არ აძლიერა ძალდატანებით ზომები. ეს მიზანია—ბრძოლა ყველა პროგრესიულ მისწრაფებათა, ქვეყნის ყველა ახალ ძალების წინაალმდეგ, ამბოხების დამშვიდების საბაბით;—ეს, არსებითად, იგივე ძველი მიზანია, რასაც მისდევდა ძველი რეჟიმი თვით-არსებობას დასაცავათ, და რამაც რუსეთი მიიყვანა 1904—5 წ.წ. დიად კატასტროფამდე.“ („Рѣчъ“, № 55). კადეტების ორატორები როდიჩევი, პერგამენტი, შინგარიოვი, მილიუკოვი და თვით მაკლაკოვი ხშირათ რევოლიუციონურ შინაარსის სიტყვებს ამბობენ. ფრაქცია თანდათან მეტის თანაგრძნობით ეკიდება უკიდურეს მემარცხენეებს და თვით სოციალ-დემოკრატებს.

მართალია, კოლო ოქტომბრისტებისკენ გადაქანდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამან იმსხვერპლა მათი საუკეთესო ბელადი—დმოვსკი და თვით პოლონეთში გამოიწვია მთელი საზოგადოების დრტვინვა და მწვავე უკმაყოფილება. კოლო ყოყმანშია, კადეტებსა და ოქტომბრისტებ შუა მდგომი ფრაქცია პროგრესისტებისა თავის ბელადის, ეფრემოვის ბაგით აცხადებს—მათ არ შეუძლიანთ ბლოკი ოქტომბრისტებთან, თუ ესენი პირობათ მოითხოვენ პროგრესისტების გამიჯვნას კადეტებისაგან.

მთელ მემარჯვენე ბანაკს სწრაფად ეძლევა ფსიხიური დემორალიზაცია. ოქტომბრისტები, მართალია, ერთგულათ მისდევენ მთავრობას, მაგრამ ოპოზიციის მიერ ამ უკანასკნელის წინაალმდეგ მიმართულ კრიტიკის ქარცეცხლს იგინი არამც თუ ვერ ანელებენ, პირ-იქით, ხშირათ, ნებსით თუ უნებლიეთ, თვითონაც უკეთებენ მუგუზლებს. ფრაქცია შეუჩერებლივ იზნიქება მარჯვნივ და მარცხნივ. ოქტომბრისტების მემარცხენე ფრთა დაჟინებით ლაპარაკობს ფრაქციის მიტოვებაზე.

ჩვენ მაინც არა გვჯერა, რომ მესამე დუმაში შესაძლებელი გახდეს ოქტომბრისტებისაგან მემარცხენე ცენტრის შედგენა. ჩვენ ჯერ-ჯერობით იმის რეალური საფუძველიც კი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ სახ. დუმის უმრავლესობამ შეიძლოს სახელმწიფოში ერთგვარ უფლებრივ modus vivendi-ს დამყარება. მაგრამ თუნდ წარმოვიდგინოთ უკიდურესი შემთხვევა—რასაც აგრეთვე არ მოეპოვება რეალური საფუძველი,—რომ მემარცხენეთ დარჩეს სრული გამარჯვება, და მათ განახორციელონ სრული რესტავრაცია, ეს ნამდვილად ქვეყნისათვის იქნებოდა მხოლოთ ერთი ნაბიჯის უკან გადადგმა წინ

გადასახტომათ. როგორც უნდა შევხედოთ აწმყო ვითარებას, ერთია ეჭვს გარეშე: როგორც დუმაში, ისე იმის გარეთ შეუჩერებლივ იზრდება ოპოზიციონური ძალები, გროვდება ის სახალხო ენერგია, რომელმაც უნდა განახორციელოს სადღეისო სახელმწიფო პრობლემა — ქვეყნის იურიდიულ-პოლიტიკური განახლება.

ამ პროცესში ჩვენი მტკიცე მოთხოვნაა — სრული უფლებანი დაჩაგრულ კლასებს, სრული უფლებანი დაჩაგრულ ნაციებს.

რადგან ერთიც და მეორეც გზა და ხიდია, რათა განხორციელდეს მუშა ხალხის კლასიური მისწრაფება — საკაცობრიო იდეალი — „თავისუფლება, ძმობა, ერთობა — თანასწორობა“.

რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს მშრომელი ხალხი — გლეხობა და პროლეტარიატი. და ამ მცხოვრებთა დიდი უმრავლესობაც ეკუთვნის დაჩაგრულ ერებს. ასე რომ იმპერიის თვით სოციალური და ნაციონალური შედგენილობა გარდაუვალის აუცილებლობით ითხოვს სახელმწიფოს დემოკრატიზაციას. და სწორეთ აქეთკენაც არის მიდრეკილი თანამედროვე ვითარების შინაგანი განვითარება.

ასე და ამ რიგათ, მიუხედავათ დღევანდელ სიდუხჭირისა, ჩვენ სასოებით განვსჭვრეტთ მომავალს და მხნეთ ვიმეორებთ:

„E pur si muove“! („მაგრამ მაინც ბრუნავს“!).

## კულტურულ-განმანათლებელ მოქმედების შესახებ.

— : —

საზოგადოების ცოცხალმა, მომქმედმა ძალებმა არ იციან ერთ ადგილზე შეჩერება და გაყინვა. ისინი იცვლიან მხოლოდ მოქმედების ფორმებს, ხოლო მუდამ კი საქმიანობენ, მუდამ — მეტ-ნაკლების სისწრაფითა და ნაყოფიერებით — ჰხარჯავენ ენერგიას. ამიტომაც როდესაც მისწყდა, მიიჩქმალა განმათავისუფლებელ მოძრაობის უკანასკნელ ტალღების შხუილი და ამ მოძრაობის თვით მესვეურთა გაცივებული კერა და გადამწვარი კარმიდამო ბეჯითად ჰმოწმობდა, რომ ხალხის სადღე-ხვალიო გამოლაშქრებაზე ფიქრიც კი ამაო ოცნება იყო, მაშინ ცოცხალი და აქტიური საზოგადოებრივი ძალები, რა თქმა უნდა, მონახავდენ მოქმედების ახალ ასპარეზს, თავის ენერგიას ახალ სფეროში მიმართავდენ. ასეც მოხდა და ერთ ასეთ სფეროთ ბუნებრივათ აღმოჩნდა კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

მთელს იმპერიაში საზოგადოთ და კერძოთ ჩვენშიც საუცხოვოთ განვითარდა და გაცხოველდა კულტურულ დაწესებულებათა მოქმედება. სახალხო მიტინგების ადგილი დაიჭირა სკოლამ და განმანათლებელ მიზნით მოწვეულმა კრებებმა და პოლიტიკური - საავიტაციო სიტყვები შესცვალა ლექციებმა და რეფერატებმა; ბიბლიოთეკა - სამკითხველო, ცოდნის შეძენა - გავრცელება პირველ საზრუნავ საგნათ გადიქცა. გეხსომებათ, რომ თვით ჩვენს წ. კ. საზოგადოებას, რომელიც „მოძრაობის“ დროს ერთიანად მივიწყებული იყო, ეხლა ერთბაშათ მიაწყდა ახალი ელემენტები; იქ დიდის რიხით შევიდენ ახალი წევრები. სახალხო უნივერსიტეტის სექციებიც კი გაიხსნა თვით საკმაოთ ჩამორჩენილ პროვინციებში. კულტურულ - განმანათლებელ საქმის ასეთი აღორძინება დიახაც რომ დიდათ სანუგეშო იყო და იმედით აღაფრთოვანებდა ხალხის ყველა მოკეთეს, რადგან ეს საქმე ემსახურება ხალხის მეტათ მწვავე სადღეისო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაგრამ იმედებს ძალიან მალე შეეკვეცა ფრთები და აღფრთოვანებას გადაეკრა უხალისობა - გულ-გრილობის სუდარა. მომქმედ ძალებს მალე აღმოაჩნდათ დაძაბუნება, სიმჩატე და უილაჯობა. განმანათლებელი მოქმედება არამც თუ ვერ ვითარდება და ვერ ფართოვდება, არამც თუ ველარ იხსნება ახალი წრეები და დაწესებულებანი, არამედ უკვე არსებულნიც ვაი-ვაგლახით-ღა იბრუნებენ სულს და თვით ჩვენი სახალხო უნივერსიტეტი, რომელმაც ერთბაშათ მიიქცია ცხოველი ყურადღება, დღეს თითქმის მარტო სახელით-ღა არსებობს.

საზოგადოება და პრესსა ნაღვლიანათ კითხულობს ასეთ უნუგეშო ვითარების მიზეზებს და თითქმის ყველანი ერთხმათ უპასუხებენ: „ბ.ბ., პოლიტიკამ და პარტიობამ შეაჩერა და დაამხო საქმეო. კულტურულ-განმანათლებელი სფერა ისეთი ტაძარია, რომლის დირეზე მიტოვებულ უნდა იქმნას ყოველივე პოლიტიკური განზრახულებანი და გულისთქმანიო“. ოჰ, ჩვენ კარგათ გვესმის, როცა ასეთი ენით ლაპარაკობენ რეაქციონერები და სხვა და სხვა ჯურის შავ-რაზმელები; ამათი მხრივ პოლიტიკისა ტ პარტიების დევნა და „წმიდა“ კულტურულ მუშაობის გამოფენა ნამდვილათ არის აშკარა პოლიტიკა ბნელეთის სასამსახუროთ მიმართული. როცა მაგ. კავკავის ქალაქის გამგეობა სკოლების საქმეს აძლევს ისეთ „უპარტიო“ ორგანიზაციას, როგორიც არის „რუსი ხალხის კავშირი“, იგი ასე იქცევა „წმინდა კულტურის“ სასამსახუროთ და წარბ-შეუხრელათ ირწმუნება, ამ სახით პოლიტიკას ვაძევებთ ქალაქის სკოლებიდანო. ამ გვარსავე მაგალითს იძლევა ოდესის უნივერსიტეტის პროცესი და სხვა მსგავსი ზოგიერთი მოვლენანი. მაგრამ საქმე ის არის, რომ კულტურულ-განმანათლებელ საქმის შემაფერხებელ მიზეზათ პოლიტიკასა და პარტიობას ასახელებენ აგრეთვე ჩვენებური პროგრესისტებიც და თვით ზოგიერთი ისეთი ადამიანები, რომელნიც თავის მოქმედებას სათავეში სოციალიზმის ბაირაღს ურჭობენ. აი ამათი მხრივ კი ხსენებული განმარტება სრულიად შეუწყნარებელი და მეტათ მავნე აბნევაა გზა-კვალისა.

უწინარეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ამ მოვლენის დასახელებულ განმარტებას დღეს დიდი ფასი და გასავალი აქვს, ეს სულაც არ არის გასაკვირველი. განმათავისუფლებელ, სახალხო მოძრაობის დამარცხე-

ბას ზედ მოჰყვა არა მარტო პოლიტიკური რეაქცია, არამედ აგრეთვე, ასე წოდებული, ფსიხოლოგიური რეაქცია, ე. ი. ერთგვარი დაღლილობა-დაქანცულობა, უიმედობა და სხ. ყველა ჩათლახი, ნაკლებათ შეგნებული თუ სულ შეუგნებელი, ყველა ისინი, ვინც ერთის გადახტომით ლამობდენ „აღთქმულ ქვეყანაში" შესვლას, დამარცხების შემდეგ უმალ მიეცნენ უიმედობას, მეუდგენ „ცოდვების" მონანიებას და იწყეს რაიმე ნავთსაყუდელის ძებნა: ერთნი შეეფარნენ კერძო პირად და ოჯახურ საქმეების მოწყობას, მეორეებმა „დარდების" ჩახრჩობა იწყეს ქეიფსა, დარდიმანდულ ცხოვრებასა და გადაჭარბებულ სიამოვნებაში (აქედან ეროტიზმი, სქესობრივი გარყვნილება, პორნოგრაფია და სხ. უმსგავსოებანი), ხოლო სასოება მიხდილ და ენერგია დაჩლუნგებულთა საუკეთესო, უფრო რიგიანი ნაწილი მიეცა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. ესენი აქ, ამ სფერაში ეძებდენ თავ-დავიწყებას, მოსვენებას, და როდესაც მათ ვინმე კვლავ გაახსენებს პოლიტიკასა და პოლიტიკურ პარტიობას, რასაკვირველია, ისინი შეშფოთებულნი ყვირიან: „აქაც პოლიტიკა, კიდევ პოლიტიკა .. სული ამოგვხადა პოლიტიკამ და პარტიობამო!" აი ასეთი ფსიხოლოგიური პირობებია მიზეზი იმისა, რომ „დროება" ჩივის: რა ხეირი დაეყრებოდა კულტურულ მუშაობას, როცა „საქმის სათავეში... პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ახლომყოფნი დგანან"... სავალალო მდგომარეობა „პირდაპირი ნაყოფია იმ გარემოების, რომ (განმანათლებელნი), პოლიტიკურ სიმპატიების გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ" და სხ. ნამდვილათ კი აქ. პოლიტიკური სიმპატია-ანტიპატია და პარტიობა თავის და თავად არამც თუ არაფერშუაშია, პირიქით სრულიად წინააღმდეგია სიმართლე, ე. ი. კულტურულ-განმანათლებელ საქმის სავალალო მდგომარეობის ერთი მთავარი მიზეზი (და იმავე დროს შედეგიც) არის სწორეთ პოლიტიკურ თვითცნობიერების უქონლობა და პარტიების განუვითარებლობა. ეს აზრი მკითხველს, შეიძლება მით უფრო პარადოქსალურათ ეჩვენოს, რომ, ერთის შეხედვით, ჩვენ პოლიტიკა და პარტიობა არამც თუ არ გვაკლია, არამედ თითქოს მოჭარბებულ-მოყირჭებულიცა გვაქვს. მართლაც, აკი განმათავისუფლებულ მოძრაობის დროს ყველაფერი დაჰფარა და შთანთქა პოლიტიკამ. აკი საზოგადოების ფართო წრეებს და თვით ხალხის მასსაში დაუჯერებელის სისწრაფით ვრცელდებოდა ახალ-ახალი სოციალ-პოლიტიკური თეორიები და აკი დიდი და პატარა, შეგნებული თუ შეუგნებელი ყველა პოლიტიკურ პარტიებათ ეწყობოდა. ეს აგრე იყო, მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ყველაფერი ეს, უმეტეს ნაწილათ, მხოლოდ მაცდური და მოჩვენებითი სანახაობა იყო. ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, გამოიწვია სახელმწიფოს საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებამ, მაგრამ აქ მუშაობდა აგრეთვე ქვეყნის კულტურული სიღარიბე და უკან ჩამორჩენა. ცნობილია, რომ კულტურულათ უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში ახალი თეორია, ესა თუ ის ახალი მოძღვრება ანუ რაიმე ახალი იდეური მიმდინარეობა უფრო ადვილათ და ჩქარა ვრცელდება, ვიდრე კულტურულათ მდიდარს და განვითარებულ ქვეყანაში. კულტურულათ ღარიბი ხალხი ადვილათ და ერთბაშათ აწყდება ახალს და მას ჩქარა მოდათაც იხდის. იგივე პროცესი (რაიმე ახალის მიღება) ძალიან მძიმეთ და დიდის გაჭირვებით სწარმოებს კულტურულათ მდიდარ ხალხში, სამაგიეროთ აქ ყოველი ახალი შენაძენი მკვიდრია და ნაყოფიერი, პირველ შემთხვევაში კი იგი ერთობ მჩატეა და ფუქსავატი. კულტურულათ ღარიბ ხალხში ადვილათ შეიძლება მაგ. რომელიმე პარტია არარაობიდან ერთბაშად გადაიქცეს ბუმბერაზათ როგორც რიცხვით, ისე გავლენით. მაგრამ ნათქვამია: „ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო". თუ რომელსამე პარტიაში ხალხი ერთბაშათ შეგრიალდება, იგი ასევე, ადვილათვე გამოგრიალდება იქიდან, როცა „ამინდი" შეიცვლება. ეხლა იგივე ხალხი ან სხვა პარტიას მიაწყდება და ან კვლავ გადიქცევა უფორმო, უდისციპლინო ბრბოდ..

დიახ, იმ დროს პოლიტიკამა და პარტიობამ ერთბაშათ მოიცვა ყველანი და ყველაფერი, მაგრამ ხალხს არ ჰქონია პოლიტიკის ნამდვილი შესმენა და გაგება, მას არა ჰქონია თვით-შეგნება, არა ჰქონია პოლიტიკური აღზრდა, პარტიებს არ გააჩნდათ ნამდვილი და საიმედო ძალა. პარტიულ ენერგიისა და პოლიტიკურ ბრძოლის უნარის ეფექტს ახდენდენ ხშირათ იმ გარემოებით, რომ პოლიტიკათ ასაღებდენ პოლიტიკანობას, პარტიულ ბრძოლათ გამოჰქონდათ პარტიული და ფრაქციული კინკლაობა, პარტიულ პრინციპებისა და საქმისადმი ერთგულებათ მიიჩნევდენ ამა თუ იმ ლოზუნგების ხელშეუხებლობას, ამა თუ იმ გაზეპირებულ ფორმულების თაყვანისცემას... ასეთი „პოლიტიკა" და ასეთი „პოლიტიკოსები" რომ ხეირს ვერ დააყრიან კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, ამას დიდი განმარტება არ ესაჭიროება. თუ პოლიტიკური სექტარიზმი, ფანატიკური უნდობლობა, მიუკარებლობა, საკუთარ სამრეკლოზე პირჯვრის წერა და ჯგუფურ-ფრაქციულ ინტერესებით უანგარიშო გატაცება ცხოველ-მყოფელ სულსა ჰხდის თვით პოლიტიკურ მოღვაწეობას, ყველა ეს კიდევ უფრო მავნებელია კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში, რადგან აქ, ამ სფერაში უფრო მეტათ, ვიდრე სხვაგან სადმე, საჭირო არის საერთო ინტერესებამდე ამაღლება, საქვეყნო კეთილდღეობით ახელმძღვანელება; აქ უფრო მეტათ, ვიდრე სხვაგან, საჭიროა უშიშარი კრიტიკა, სრული თავისუფლება აზრისა და სინდისისა, საჭიროა ფართო ტოლერანტობა სხვისი პიროვნებისა და წრფელ შეხედულება-რწმენების პატივისცემა. ხსენებული „პოლიტიკოსები" ძალიან ძვირათ და მეტათ ძნელათ ეგუებიან კულტურულ მუშაობას, და ეს გასაგებიც არის. ჩვენში ისინი აღიზარდენ ისეთ ატმოსფერაში, სადაც

დაფარულ-კონსპირატიული და აკრძალული, არალეგალური წინასწარ მიმზიდველი და სიმპატიურია, ხოლო აშკარა, საჯარო და ნება დართული კი წინასწარ საეჭვოა და ბურჟუაზიულ სულის მატარებელი; ამ ატმოსფერაში პირველ გეგმაზე სდგას პიროვნებათა კულტი (გაღმერთება) და გმირულ აქტებზე ოცნებობა. იგინი ბუნებრივათ მიდრეკილნი არიან შეთქმულობის ტაქტიკისაკენ და რაღა საკვირველია, თუ, კულტურულ მოქმედების შარა გზაზე გამოსულნი, ისინი თავს ულონოთა გრძნობენ. თვით ჩვეულებრივი, ყოველ-დღიური და „უჩინარი“ საქმე, როგორიც არის კულტურული მუშაობა, მათ ეჩვენებათ მეტათ წვრილმან და უმნიშვნელო რამეთ. მათ საკუთარ ღირსების დამამცირებლათ ეხატებათ და ეთაკილებათ ფეხი შედგან იმავ სცენაზე, სადაც გამოდიან არა მარტო „ჩვეულებრივი“ ადამიანები, არამედ პირდაპირი მოწინააღმდეგენიც: ლიბერალები, უბრალო პროგრესისტები და შეიძლება წმინ და რეაქციონერებიც.

თუ ჩვენი „პოლიტიკოსები“ დასძლევენ პირად ზიზლსა და მოახერხებენ შესვლას კულტურულ დაწესებულებებში, აქ მათ, ადვილათ შეიძლება, გამოიწვიონ მომქმედ და მომუშავე ძალების დაქსაქსვა. და ეს კი, თუ მავნებელია ყველგან, უფრო კიდევ მავნებელი და საზარალოა ისეთ მხარეში, როგორიცი არის ჩვენი ქვეყანა.

ჩვენ მეტათ ღარიბნი ვართ კულტურული ძალებით, ღარიბნი როგორც რაოდენობის, ისე ღირსების მხრივ. სათანადო სწავლა-ცოდნით აღჭურვილთა რიცხვი ჩვენში ძალიან მცირეა და უფრო კიდევ მცირეა იმ ნასწავლთა რიცხვი, რომელნიც საქვეყნო სამსახურსა და საზოგადოებრივ ასპარეზს ელტვოდენ, როგორც თავის ბუნებრივ სტიქიას. მართალია, თვით საზოგადოებრივ სარბიელზე არა მცირედი საქმე გაკეთდება პირადი მოსაზრებითაც, პირადი ინტერესებითაც. მაგრამ ასეა მხოლოდ კულტულათ დაწინაურებულ ქვეყნებში; სულ სხვაა ჩვენში. აქ საზოგადოებრივი სარბიელი ჯერ-კიდევ ნარ-ეკალით არის ფენილი. აქ ცოტათ თუ ბევრათ თვალსაჩინო საზოგადოებრივი საქმის მკეთებელია მხოლოდ და მარტო მაღალ იდეალებით გატაცება, უანგარობა, საქვეყნო სიკეთის წრფელი სიყვარული. ასეთ რჩეულ ინტელიგენტებით კი, ვიმეორებ, ძალიან ღარიბნი ვართ. გარდა ამისა, თვით ეს საუკეთესო ნაწილი ინტელიგენციისა თვისი შინაგანი ღირსებით, ასე ვთქვათ, თავისი ინდივიდუალობით, მეტათ დაბალ ხარისხოვანია. მოგეხსენებათ, მთელი ჩვენი თაობა ღვიძლი შვილია „ძველი აღთქმისა“, პატრიარქალურ—ბატონ-ყმურ ცხოვრებისა. პიროვნებას, მის ხასიათსა და მთელ ინდივიდუალობას კი ჰქმნის არა წიგნი ან თეორია, არამედ ცოცხალი ცხოვრება, სოციალ-პოლიტიკური პირობები.. „ძველი რეჟიმის“ მცხოვრებს წარმოდგენაც კი არა აქვს დროს ნამდვილ ღირებულებაზე. ინგლისელების თქმულება „Time is maney“ (დრო ფულია) ისეა გაგებული, თითქოს „ფული“ იყოს მხოლოდ დაქირავებული დრო, ანუ როცა ადამიანი მუშაობს განსაზღვრულ ჯილდოსთვის, ხოლო ის დრო კი, როცა ჩვენს ოჯახში ვართ და ჩვენს საკუთარ თავს ვეკუთვნით, თითქოს ეს დრო კი გახვრეტილი გროშიც არა ღირდეს. „ძველი რეჟიმის“ დროს ყველა დიდსა და პატარა საქმეს მიჩენილი ჰყავს თავისი დიდი და პატარა ბატონი. ცხოვრების თვით უმნიშვნელო წვრილმანებიც სხვისგან, შენ დაუკითხავათ არის განზომილ-განწესრიგებული, ყველაფერს ლოდივით აწევს მზრუნველობა მაღლიდან. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ვერ განვითარდება ადამიანის მომქმედი ენერგია. ამიტომაც ძველი დროის ადამიანს მუშაობაში არა აქვს დაბეჯითებული ხაზი და სწორ-მტკიცობა. მთელს მის არსებაში ჩაქსოვილია სიზანტე და სიზარმაცე. ზანტი და ზარმაცია მისი მოქმედება, ზინტი და ზარმაცია მისი აზროვნება. მის საქმიანობის შედეგი, ნაყოფიერება მწირია და საცოდავი. იგი ეჭვით და უნდობლობით უყურებს ყველას და თვით თავის თავსაც. არა სწამს არც სხვა და არც საკუთარი ძალ-ღონე. მთელი მისი პიროვნება გაუბედაობა და სიმხდალეა. აქ, რაღა თქმა უნდა, თვით ის, რაც შეადგენს კულტურულ მუშაობის სულს — კერძო და საზოგადოებრივი თაოსნობა და თვითმოქმედება — ჩამკვდარ-ჩაშრეტილია.

ასე იყო საქმე ძველათ, მაგრამ გარემოება დიდათ არ შეცვლილა თვით „განახლებულ“ რუსეთში. ცხოვრების „სკოლა“ იგივე დარჩა. დღესაც ისე, როგორც ძველად, სოციალ-პოლიტიკური არსებობა სასტიკ „მზრუნველობის“ დარჯაკშია გაქაჩული. კულტურულ-განმანათლებელ მოქმედებას კვლავ თანა სდევს ადმინისტრაციის ეჭვი და უნდობლობა. ამას დასძინეთ განსაკუთრებული პირობები, რომელიც შექმნილია კერძოთ განაპირა ქვეყნებისათვის, სადაც თვით სამშობლო ენაც დევნილია როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ, და დიდი შრომა და მეცადინეობაა საჭირო, რომ მაგ. ადგილობრივ ენაზე ლექციის წასაკითხათ ნებართვა მიიღოთ. კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას კი — მოგეხსენებათ — მხოლოდ მაშინა აქვს აზრი და მნიშვნელობა, როცა იგი სწარმოებს ხალხისათვის გასაგებ, სამშობლო ენაზე.

აი კიდეც ეს გარეშე პირობებია უახლობელესი და პირდაპირი მიზეზი კულტურულ მუშაობის ჩამოქვეითების და შეფერხებისა. სადღა არის აქედან გამოსასვლელი? ამ საკითხზე ჯეროვან საპასუხოთ უნდა გადავჭრათ მეორე საკითხი. რატომ მოხდა, რომ 17 ოქტომბრის შემდეგ, საიდანაც იწყება „განახლებულ“ რუსეთის არსებობა, ცხოვრების პირობები ნამდვილათ ისევ ძველი დარჩა? ამისი ახსნა ეხლა უკვე საკმაოთ მარტივი არის. როდესაც მოძრაობის აბობოქრებულ ტალღების მიერ ძველი რუსეთის ძველი ბატონ-პატრონნი უკუქცეულ იქმნენ და ისტორიის უფსკრულში ლამობდენ შთანთქმას, ქვეყანა — როგორც ერთხელ ერთ ქარ-

თველ პუბლიცისტმა სთქვა — „უხაზეინოთ“ დარჩა, ე. ი. ხალხმა ვერ შეიძლო თვითვე გადაქცეულიყო თავის ბატონ-პატრონათ; და ვერ შეიძლო, რადგან არ მოეპოვებოდა საჭირო პოლიტიკური თვითცნობიერება; ოპოზიციის პარტიებმა ვერაფერი გააწყეს, რადგან მათ არ აღმოაჩნდათ რეალური ძალა — გათვითცნობიერებული ხალხი; და ძველი ბატონ-პატრონებიც, რასაკვირველია, ისევ დაუბრუნდნენ მიტოვებულ პოზიციებს. ყველა დანარჩენი უკვე ველამ ვიცით. აქედან აღნიშნულია ის ერთად ერთი შესაძლებელი საშუალებაც, რომლითაც უნდა განხორციელდეს რუსეთის იმპერიის განახლება. უპირველესი და მიუცილებელი საჭიროება ხალხის ფართო მასაში შეტანილ იქმნას, რაც შეიძლება, მეტი სინათლე!...

მართალია, კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, — როგორც ზევითაც დავინახეთ, — დღეს მეტათ გაძნელებულია, მას ათას-გვარი დაბრკოლებანი ეღობება წინ, მაგრამ მოქმედება მაინც შეუძლებელი არ გამხდარა. პირიქით, კულტურულ-განმანათლებელი სფერა დღეს, სხვებთან შედარებით, ყველაზე უფრო მადლიანი ასპარეზია. მხოლოდ კარგათ უნდა იქმნას გათვალისწინებული თუ როგორ, რა მიმართულებით სწარმოებდეს ეს მუშაობა. ყველა ზემოთ ნათქვამიდან აშკარა არის, რომ კულტურულ-განმანათლებელი მოქმედება არამც თუ არ უნდა უფრთხოდეს პოლიტიკასა და პოლიტიკურ პარტიებს, არამედ, პირიქით, უნდა ცდილობდეს მათთან, რამდენათაც შესაძლებელია, მჭიდრო კავშირის დაჭერას. საქმის ტეხნიკური და პრაქტიკული მოწყობა არ შეადგენს ამ წერილის საგანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ პირველ გეგმაზე უექველათ წამოყენებულ უნდა იქმნას სოციალ-პოლიტიკური საკითხები. ეს უნდა იყოს დღეს ცენტრი კულტურულ მუშაობისა. ამით კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი შეეგებებიან ხალხის მწვავე, სასიცოცხლო მოთხოვნილებას, იქ აღძრავენ ცხოველ ინტერესს, შემოიკრებენ უფრო მეტად აუდიტორიას და მოქმედების უფრო მეტ ნაყოფიერებასაც მიაღწევენ. მეორე მხრივ, ამით ხელს შეუწყობენ იმ ენერგიის დაგროვებას, რომელიც ერთად ერთი ბერკეტია ქვეყნის განახლებისა, ერთად ერთი წინდია იმ მოქალაქობრივ პირობების დასამყარებლათ, როცა გაწამებულ ხალხს გადაეშლება თავისუფალი ასპარეზი მშვიდობიან ზრდა-განვითარებისათვის და როცა თვით კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი ხალხის ფართო მასსებისათვის აღიმართებიან სინათლის უხვად მფრქვეველ მოკაშკაშე მბრწყინავ ლამპრებათ. **ლ. კანდელი.**

# რა მოხდა?

ამას წინათ გაზეთ „ზაკავკაზიე“ს რედაქციაში დიდი ალიაქოთი ატყდა. დაჰკრეს საომარი ბუკი და ნაღარა, დაიჭირეს მოწინავე „პოზიციები“ ...

რამ ააშფოთა ჩვენებურ „ზუბროთა“ ბანაკი? რა მოხდა საამისო? ჩვეულებრივი რამ. „ზუბრებს“ მოეჩვენათ, რომ დეპ. გეგეჭკორმა შეურაცხჰყო პოლონელი ერი. და აი ჩვენი „ნაც. დემოკრატები“, ვითარცა „ფხიზელი და ერდგული დარაჯნი“ დაჩაგრული ერისა, ზეზე წამოიჭრენ და ლაშქართ მოუხმეს. ყველაზე უწინ, რასაკვირველია, ბ. გვაზავა გამოცხადდა. ის ესეც არის ქვათურიდან დაბრუნებულა და, კედიას გამართლებით გახარებული, გაორკეცებული ენერგიით ეკვეთა „შინაურ მტერს“.

რაში გამოიხატა ეს შეურაცყოფა? იმაში, რომ გეგეჭკორმა ს.-დ. ფრაქციის სახელით უარჰყო დეპ. დიმშას მორიგ საქმეზე გადასასვლელი ფორმულა, სადაც, სხვათა შორის, გამოთქმული იყო სურვილი, რომ პოლონელობა არ უნდა წარმოადგენდეს დამაბრკოლებელ მიზეზს მსაჯულების ადგილების მისაღებათ პოლონეთის სამეფოში“.

ბ. გვაზავა კითხულობს: ან უფლების, ან ზნეობის თვალსაზრისით დასაშვებია თუ არა, რომ რუსეთის ერთი კუთხის წარმომადგენელმა გაილაშქროს იმავე რუსეთის, მეორე კუთხის წარმომადგენლის სამართლიანის მოთხოვნილების წინააღმდეგ. („ზაკ.“ № 28). თვით რედაქცია კი თავის მოწინავეში (№ 26) ამას პროვოკაციას უწოდებს.

არა ერთხელ ყოფილა დამტკიცებული, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ჩვენი დეპუტატების წინააღმდეგ ბრძოლაში, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. ცილის წამება, ჭორები, ქუჩური ლანძღვა-გინება, მათი სიტყვების სისტემატიური დამახინჯება და მათი ტენდენციოური ახსნა-განმარტებას, სიტყვიდგან მნიშვნელოვანი ადგილების გადამალვა-გადაფუჩეჩება და ამ განძრახ დამახინჯებულ საძირკველზე ყოვლად უმართებლო ბრალდების აშენება.

ასე იქცევა **ამ შემთხვევაში „ზაკ.“ რედაქციაც.** მან აღნიშნა მხოლოდ გეგეჭკორის მიერ კოლოს ფორმულის უარის ყოფა, ხოლო ყველა ის მოტივები, რომელიც მან მოიყვანა ამ უარის ყოფის დასასაბუთებლათ, მკითხველს დაუმალა.

აი ეს მოტივები. „მიუხედავათ იმისა, რომ — ამბობს გეგეჭკორი — კოლო თავის ფორმულაში **ავიწროებს** კითხვას, რადგან ფორმულა ეხება მხოლოდ პოლონელებს და არა **ყველა ეროვნებას,** რომლებიც პოლონეთში ცხოვრობენ, ს.-დ. ფრაქცია არსებითად **თანაუგრძნობს და თანახმაა** ამ ფორმულის, მაგრამ **საერთოთ** ამ ფორმულის ხმის მიცემა მათ არ შეუძლიათ, რადგან ფორმულის უკანასკნელი ნაწილი **მოითხოვს იუსტიციის სამინისტროს სმეტის მიღებას**. („რუს. ვედ.“ № 51.)

აქედგან აშკარაა, რომ გეგეჭკორი არამც თუ არ უარყოფს ფორმულის პირველ ნახევარს, ე. ი. „რომ პოლონეთში მსაჯულების ადგილი არ იყოს დახურული პოლიაკებისათვის“, არამედ ხმა მაღლა აცხადებს ფრაქციის სახელ ით, რომ ისინი ეთანხმებიან და თანაუგრძნო-

ბენ ა მოითხოვნას, ხოლო ფორმულას კი ხმას ვერ მისცემენ, იმიტომ რომ ის მოითხოვს სმეტის მიღებას, რასაც ფრაქცია ვერ ეთანხმება.

ასე რომ, გეგეჭკორი ღებულობს ფორმულის პირველ ნაწილს, ხოლო უარს ყოფს მეორე ნაწილს, სმეტის მიღების შესახებ და ამასვე ურჩევს კოლოსაც. კოლო რომ მართლა ჭეშმარიტი დამცველი იყოს პოლონეთის ინტერესების, მისი პატივის და ღირსებისა, განა მას პირველს არ უნდა მოეთხოვა სამინ. სმეტის სრული უარყოფა?! განსაკუთრებით შჩეგლოვიტოვის იმ მთელი ერის შეურაცხმყოფელი სიტყვის შემდეგ, რომელიც მინისტრმა წარმოსთქვა წინა დღის დუმის სხდომაზე. რომელიმე მინისტრს რომ რომელსამე პარლამენტში გაებედა და რომელიმე ერისთვის ასეთი შეურაცხყოფა მიეყენებია ტრიბუნიდგან, არამც თუ სოციალისტები, უბრალო პროგრესისტ-ლიბერალებიც კი მას უნდობლობას გამოუცხადებდენ, რასაც ან ცალკე ფორმულაში გამოხატავდენ, ან და უარს ყოფდენ მის სმეტას და მათ სამსახურიდგან გადადგომას აიძულებდენ.

მარა კოლო, როგორც ხედავთ, არამც თუ თვითონ არ მოითხოვს სმეტის უარყოფას და მით მინისტრისათვის ღირსეულ პასუხის გაცემას, პირიქით სხვას აძალებს: დაუმტკიცეთ სმეტა იმ სამინისტროს, რომლის უმაღლესმა წარმომადგენელმა გუშინ (და განა მარტო გუშინ!) ასეთი სამარცხვინო სილა გააწნა იმ ერს, რომლის წარმომადგენელი თვითონაა. ხოლო როცა გეგეჭკორი გაკვირვებით კითხულობს, როგორ შეიძლება კოლომ ხმა მისცეს სმეტას მინისტრის გუშინდელ სიტყვის შემდეგ, რომლითაც ასე შეურაცხყო მთელი ერის პატივი და ღირსებაო, „ზაკ.“ დაცინვით ამბობს: ს.-დემ. უთავბოლოთ უარყოფენ ყოველგვარ სმეტას და ამ თავის უთავბოლობას სხვასაც აძალებენო და ამას ეძახის ცინიზმს.

დიახ, ეს ცინიზმია, მაგრამ სოც. დ. დეპუტატების მხრივ კი არა, არამედ კოლოს და „ზაკავკ.“-ს მხრით.

„ზაკავკაზიესაგან“ კოლოს გამოსარჩლება ჩვენ სრულიად არ გვაკვირვებს. სული სულს იცნობსო—იტყვიან. ჩვენი ნაც. დემოკ. ხომ ღვიძლი ძმებია პოლ. ნაც. დემოკრატების ე. ი. კოლოს და ხომ მოგეხსენებათ; „თხას თხა ურჩევნია, ათას სულ ცხვარსაო“.

ამრიგათ, ერის ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი ვერას გზით ხმას ვერ მისცემდა კოლოს **მთელ** ფორმულას. და რაღა თქმა უნდა, რომ ამას ვერ ჩაიდენდა ს.-დ. ფრაქცია: ჩვენის აზრით, ამ უკანასკნელს მხოლოდ ის ჩაეთვლება შეცდომათ, რომ მან არ შეიტანა ცალკე შესწორება, რომელიც კოლოს წინადადებას ჯეროვანათ გაათვარითვებდა, პოლონელებთან ერთად მოიხსენებდა ყველა დაჩაგრულ ერებს. გარდა ამისა, ფრაქციას შეეძლო კოლოსთვის მიეთითებინა, რომ მას თავისი ფორმულა ორად გაეყო კენჭის საყრელათ; მაშინ პირველი ნაწილი (ნაციონალურ მსაჯულთა შესახებ) გავიდოდა, ხოლო მეორე (სმეტა) გაშავდებოდა. უკიდურეს შემთხვევაში კი ფრაქციას თავი უნდა შეეკავებინა ხმის მიცემისგან. აი თუ ამ ხაზზე გატარდებოდა ფრაქციის მოქმედება, მაშინ ზამისლოვსკი-პურიშკევიჩების ტაშის ცემა ყველა შავების კბილთა ღრჭენათ გადიქცეოდა, თვით „ნოვოე ვრემიას“ კომპლიმენტები—„ეტაკიე უმნიე ნაში სოციალდემოკრატი!“—სულ სხვა ჰანგზე შეიცვლებოდა, და ვერც დაჩაგრულ ერთა წარმომადგენელი ახსენებდა ფრაქციას გულის წყრომით სახ. დუმის იმ რეზოლიუციის გახსენებაზე, რომელიც დალადებს: არა რუს ერებში „მართლ მსაჯულება უნდა სწარმოებდეს ხალხისთვის გაუგებარ ენაზეო“.

მაგრამ ისიც სათქმელი გახლავთ, რომ თვითონ კოლომ არ ისურვა თავის ფორმულის ორად გაყოფა. უფრო მეტიც, მან ხელი ჰკრა უკიდურეს ოპოზიციას. „იგი ჩუმათ ოქტომბრისტებს, ამ „დაკარგული დოკუმენტის“ პარტიას შეუთანახმდა და ამ შეთანხმების შესახებ არც ერთ მემარცხენე ფრაქციას არაფერი არ გააგებინა“. ამიტომ „ნაშა გაზეტა“ № 52, სამართლიანათ შენიშნავს, რომ კოლო თვითონ ეცადა მისი ფორმულა არ გასულიყო და ბრალიც სავსებით მას ედებაო. ასეთივე აზრისაა „ნ. რუსიც“ № 61.

დიახ, ყველა მიუდგომელი ადამიანი ეტყვის კოლოს: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

გრ. ურ.

# დუმილი

შუა დამეა... დაბნელდა არე,
მისძინებია ქალაქს, სოფელსა,
ღამის გუშაგი შუქ-მფრქვევი მთვარე
ჩაუხვევია გულში ღრუბელსა.

ფრთა გაუშლია ირგვლივ დუმილსა,
დამავადებელ გულის მომწყვლელსა,
თითქოს ქვეყანა სამუდამო ძილს
მოაჯენთქას... პირ-ქუშ, სამარე ბნელსა.

უყვლგან სიჩუმე გამეფებულა,
კიდითი-კიდე, შორით-შორამდე,
სდუმს ცხოვრების ზღვა... მიუჩნებულა
„მგოდებელთათვის“ უკუნისამდე.

ჩემთვის კი... არა! ჩემთვის დუმილი
მორბედი არის მეხთა სრბოლისა,
და დაბნელებულ ცისა ქუხილი —
მძლავრ სტიქიური მღერა ბრძოლისა...

ბ. ქურიშვილი.

## MATERIALISMUS MILITANTS *)

**პასუხათ ბ-ნ ბოგდანოვს.**

I.

წერილი პირველი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

წარსული წლის „ვესტნიკ ჟიზნი“-ს მეშვიდე ნომერში მოთავსებული იყო თქვენი „**ღია წერილი ამხ.**

**პლეხანოვს**“. ეს წერილი მამცნებს, რომ თქვენ უკმაყოფილო ხართ ჩემზე ბევრ მიზეზთა გამო. უმთავრესი მიზეზთაგანი, თუ არ ვცდები, ის არის, რომ მე, თქვენის სიტყვით, აგერ უკვე სამი წელიწადია, ვეკამათები ემპირიომონიზმს ნისიად, ვერ მომყავს იმის წინააღმდეგ სერიოზული საბუთები, და ეს ჩემი ტაქტიკა, აგრეთვე თქვენისავე საკუთარის სიტყვით, რამდენადმე იმარჯვებს. ამასთანავე თქვენ მისაყვედურებთ, რომ მე „სისტემატიურად გიხსენიებთ თქვენ **ბატონ ბოგდანოვათ**“. ამას გარდა უკმაყოფილო ხართ ჩემის რეცენზიით, რომელიც დიცგენის წიგნების—„აკვიზიტი ფილოსოფიისა“ და „წერილები ლოგიკაზე“—შესახებ იყო დაწერილი. თქვენის სიტყვებით, მე ვურჩევ მკითხველებს, არ ენდონ და უფრთხილდენ დიცგენის ფილოსოფიას იმიტომ, რომ იგი ხანდახან თქვენსას ჰგავს. აღვნიშნავ კიდევ ერთს მიზეზს თქვენის ჩემზე უკმაყოფილებისას. თქვენ ამტკიცებთ, რომ ზოგიერთი ჩემი თანამოაზრეთაგანი თითქმის „სისხლის სამართლის“ ბრალდებას გახვევენ თავზე და თქვენ გგონიათ, რომ ამ მათ დემორალიზაციაში“ მეც მიდევს წილი. შემეძლო კიდევ განმეგრძო აღნუსხვა ყველა იმ საყვედურებისა, რომლითაც თქვენ მე მომმართეთ, მაგრამ ეს სრულიადაც საჭირო არ არის: ჩემგან მოყვანილი პუნქტებიც საკმაონი არიან იმისთვის, რომ ჩვენ შევუდგეთ განმარტებას, რაც მოკლებული არ არის საერთო ინტერესს.

შევუდგები რა ამ განმარტებას, დავიწყებ იქიდან, რაც მე, მესამე ხარისხოვან თუ არა, მეორე ხარისხოვან საკითხად მიმაჩნია, და რაც თქვენს თვალში არა მცირედ მნიშვნელოვანია, ე. ი. თქვენის „ტიტულის“ საკითხიდან.

ბატონობის „ტიტულს“, თქვენდამი ჩემგან მომართულს, თქვენ სთვლით შეურაცხყოფად, რის ჩადენის უფლებაც მე თქვენდა მიმართ არა მაქვს. ამიტომ ვიჩქარი დაგარწმუნოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ არასოდეს განზრახვა არ მქონია თქვენის შერაცხყობისა. მაგრამ თქვენგან უფლების ხსენება საბაბს მაძლევს ვიფიქრო, რომ თქვენის რწმენით, თქვენი ამხანაგათ მოხსენიება ჩემს სოციალ-დემოკრატიულ **მოვალეობათა** რიცხვში შედის. მაგრამ იცის ღმერთმა და ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა!—მე ამის მოვალედ არა ვთვლი ჩემს თავს. არ ვთვლი იმ უბრალო და ცხადი მიზეზის გამო, რომ **თქვენ ჩემი ამხანაგი არა ხართ** და ჩემი ამხანაგი კი არა ხართ იმიტომ, რომ **მე და თქვენ ვართ წარმომადგენელი ორის პირდაპირ მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობისა**. რამდენათაც სიტყვა ეხება ჩემის მსოფლმხედველობის დაცვას, იმდენად თქვენ გამოდიხართ არა ჩემს ამხანაგათ, არამედ ჩემ უმწვერვალეს ჴ ყოვლად შეურიგებელ მოწინააღმდეგეთ. რისთვის უნდა ვიფარისევლო? რისთვის უნდა მივცე სიტყვებს სრულიად შემცდარი აზრი?

ჯერ კიდევ ბუალო ამბობდა ოდესღაც: „კატას კატა დაუძახეთო“. მე მწამს ეს გონივრული რჩევა და კატას ყოველთვის კატათ ვიხსენიებ, ხოლო თქვენ კი —ემპირიომონისტათ. **ამხანაგს** კი მე ვუწოდებ იმ ადამიანებს, რომელნიც ჩემებურათ აზროვნობენ და იმ საქმეს აკეთებენ, რასაც მე უფრო დიდის ხნით ადრე შევუდექი, ვიდრე ბერნშტეინიანები, მახისტები და „მარქსის სხვა კრიტიკოსები“ გამოჩნდებოდენ. დაფიქრდით, ბ-ნო ბოგდანოვო, ეცადეთ მიუდგომლათ სთქვათ, ნუ თუ მე მართლაც „არავითარი უფლება“ არა მაქვს ასე მოვიქცე? ნუ თუ ვალდებული ვარ სხვა გვარათ მოვიქცე?

შემდეგ თქვენ სასტიკათ სცდებით, მოწყალეო ხელმწიფევ, როცა გგონიათ, ვითომ მე აშკარა იგავებით ვლაპარაკობ იმაზე, რომ თქვენ „ჩამოხრჩობის“ თუ არ იმის ღირსი მაინცა ხართ, რომ მარქსიზმის საზღვრებიდან იქნეთ გაძევებული რაც შეიძლება მოკლე დროში. კიდეც რომ განეზრახა ვისმე ასე მოგქცეოდათ თქვენ, იგი, უწინარეს ყოვლისა წააწყდებოდა სრულს **შეუძლებლობას აესრულებინა** თავისი სასტიკი განზრახვა. თვით დუმბაძე, მიუხედავათ თავის საკვირველ მომქმედის ძლიერებისა, ვერ შესძლებდა თავის საბრძანებლიდან გაეძევებინა ის კაცი, ვინც ამ საბრძანებელში არ მოიპოვებოდა. სწორეთ ასევე ვერავითარი იდეოლოგიური პომპადური ვერ შესძლებდა „გაეძევებინა“ ზემო აღნიშნული მოძღვრებიდან ისეთი „მოაზროვნე“, რომელიც **მის საზღვარს გარეშე იმყოფება**. და რომ თქვენ სწორეთ მარქსიზმის საზღვრებს გარეშე იმყოფებით, ეს ცხადია ყველა იმათთვის, რომელთაც იციან, რომ მთელი შენობა ამ მოძღვრებისა დამყარებულია **დიალექტიურ** მატერიალიზმზე, და რომელთაც ესმით, რომ თქვენ, თქვენის ღირსებით მტკიცე მახისტი, მატერიალისტურ თვალსაზრისის ხაზზე არა დგეხართ და არც შეგიძლიათ იდგეთ. იმათ კი, რომელთაც ეს არ იციან და არ ესმით, მე მოვუყვან ქვემორე სტრიქონებს, რომელიც თქვენი საკუთარი კალმიდან გახლავთ გამოსული.

ახასიათებთ რა სხვადასხვა ფილოსოფოსთა დამოკიდებულებას იმ საკითხთან, თუ **რა** არის „ნივთი თავისად“, თქვენ ბრძანებთ:

„ოქროს შუაგული დაიკავეს უფრო კრიტიკულ ელფერის მატერიალისტებმა, რომელთაც, უარყვეს-რა „საგნის თვითების“*) სავსებითი გამოუცნობლობა, ამავე დროს იგი მიაჩნიათ **პრინციპიალურათ** განსხვავებულათ „მოვლენათაგან“ და ამიტომ ყოველთვის მხოლოდ „ბუნდოვან საცნაურათ“ მოვლენებში, ცდის გარეშე მდებარეთ შინაარსით (ე. ი. ალბათ „ელემენტებით“, რომელნიც ისეთი არ არიან, როგორც ელემენტები ცდისა), მაგრამ მოთავსებულათ იმ ფარგალთა შორის, რასაც უწოდებენ ცდათა ფორმებს,—ე. ი. დრო, სივრცე და მიზეზობრივობა. დაახლოვებით ასეთია მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის მატერიალისტთა თვალსაზრისი

---

*) მებრძოლი მატერიალიზმი.

*) вещь въ себѣ, Dinq en sich. საგანი თავის-თავად ანუ საგანი თავისად.

და ახალ ფილოსოფოსთაგან—ენგელსისა და იმის მიმდევარ რუს ბელტოვისა“ *).

ამ სტრიქონებმა საქმე ნათლათ უნდა დაანახოს იმათაც კი, ვინც ერთობ უდარდელნი არიან ფილოსოფიის შესახებ. ამ ადამიანებმაც კი აშკარათ უნდა დაინახონ, რომ თქვენ უარყოფთ ენგელსის თვალთახედვის წერტილს. და ვისაც შეტყობილი აქვს, რომ ენგელსი ფილოსოფიაშიც სრული თანამოაზრე იყო „კაპიტალის“ ავტორისა, იგი ძალიან ადვილათ მიხვდება, რომ თქვენ, უარყოფთ რა ენგელსის თვალთახედვის წერტილს, **ამითვე** უარყოფთ თვალთახედვის წერტილს მარქსისას და ეკედლებით **ამ უკანასკნელის „კრიტიკოსთა“** რიცხვს.

გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ნუ შიშობთ, ნუ მთვლით დუშბაძეთ და ნუ წარმოგიდგენიათ, ვითომ მე თქვენი „გაძევება“ მქონდეს აზრათ, როცა აღვნიშნავ, რომ თქვენ ეკუთვნით მარქსის მოწინააღმდეგეთა რიცხვს. ვიმეორებ, არ შეიძლება რომელიმე მეცნიერების საზღვრებიდან გააძევო ის ადამიანი, რომელიც უკვე ამ საზღვრების გარეშე იმყოფება. ხოლო რაც შეეხება მარქსის კრიტიკოსებს, ეხლა ყველამ, თუნდაც სემინარიაში არ ესწავლოს, იცის, რომ ამ ბატონებმა მიატოვეს მარქსიზმის საზღვრები და ძნელათ თუ აქეთ დაბრუნდენ როდისმე.

„სიცოცხლის წართმევა“ შეუდარებლათ უფრო სასტიკი ზომაა, ვიდრე „გაძევება“. და მე რომ შემძლებოდა როდისმე დამელაპარაკნა შესახებ თქვენის, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩამოხრჩობისა (თუნდაც ბრჭყალებში) მაშინ, რასაკვირველია, შემეძლებოდა შესაფერ შემთხვევაში თქვენი „გაძევებაც“ მომსვლოდა აზრათ. მაგრამ აქაც სრულიად ამაოთ შიშობთ და სრულიად ამაო ირონიას ეძლევით.

ერთხელ და სამუდამოთ გეტყვით, რომ არავისი „ჩამოხრჩობა“ არასოდეს არ დამიპირებია. ერთობ უხეირო სოციალ-დემოკრატი ვიქნებოდი, რომ არ ავღიარებდე თეორეტიულ კვლევა-ძიების სრულ თავისუფლებას. მაგრამ ასეთივე უხეირო სოციალ-დემოკრატი ვიქნებოდი მაშინაც, თუ არ მექნებოდა იმის გაგება, რომ **კვლევა-ძიების თავისუფლებას** თან უნდა სდევდეს და შეავსებდეს **თავისუფლება ადამიანთა შეკავშირებისა მათი რწმენა-შეხედულების დაგვარათ.**

დარწმუნებული ვარ—და განა კი შეიძლება ამაში დარწმუნებული არ იყო?—როცა ადამიანები შორდებიან ერთმანეთს თეორიის ძირითად საკითხებში, მათ სრული უფლება აქვთ განშორდენ ერთმანეთს აგრეთვე პრაქტიკაშიაც, ე. ი. გაიყვნენ სხვადასხვა ბანაკებათ. მე იმაშიაც კი ვარ დარწმუნებული, რომ არის „სიტუაცია“, როდესაც **იგინი ვალდებულნი არიან ასე მოიქცენ.** ჩვენ აკი პუშკინის დროიდანვე ვიცით, რომ

ერთ ურემში ვერ შეიბმის
ცხენი და მთრთხალი ირემი...

*) ბოგდანოვი. ემპირიომონიზმი. წიგნი II. გვ. 39. მოსკოვი 1905 წ.

შეჯგუფება-შეკავშირების ამ უეჭველ და უცილობელ თავისუფლების სახელით არა-ერთხელ მომიწოდებია რუსი მარქსისტები შეერთებულიყვენ ცალკე ჯგუფათ თავიანთ იდეების საქადაგებლათ და გამიჯნულიყვენ სხვა ჯგუფებიდან, რომელნიც არ ღებულობენ მარქსის ამა თუ იმ იდეებს. მე არა-ერთხელ—და სრულიად გასაგების მხურვალებით—გამომითქვამს ის აზრი, რომ იდეიურ სფერაში ყოველივე ბუნდოვანება დიდათ მავნებელია. და მე ვფიქრობ, იდეიური ბუნდოვანება განსაკუთრებით მავნებელია ჩვენში დღეს, როდესაც რეაქციის ზეგავლენით და თეორეტიულ ღირებულებათა გადასინჯვის საბაბით, ჩვენს ლიტერატურაში ნამდვილი ორგია გაუჩაღებია ყველა ფერისა და ჯურის იდეალიზმს და როდესაც ზოგიერთი იდეალისტები, ალბათ თვის იდეათა გავრცელების მიზნით, თავიანთ შეხედულებებს აცხადებენ მარქსიზმის სულ უკანასკნელ მოდნის შეშუდათ. მტკიცეთ დარწმუნებული ვარ, რომ ამ იდეალისტებისაგან ჩვენი თეორეტიული გამიჯვნა დღეს უფრო საჭიროა, ვინემ როდისმე, და მე სრულიად მოურიდებლათაც გამოვთქვამ ამ ჩემს მტკიცე რწმენას. მე მესმის, რომ ეს შეიძლება ზოგჯერ არ ესიამოვნოს ამა თუ იმ იდეალისტს,—განსაკუთრებით იმათ კატეგორიისას, რომლებიც მსურველნი არიან თავიანთი საქონელი გაასაღონ მარქსიზმის ბაირაღ-ქვეშ,—მაგრამ მე მაინც გადაჭრით ვამტკიცებ, რომ ვინც ამ საბუთით მისაყვედურებს, ვითომ მე ვემუქრებოდე ვისიმე **თავისუფლებას** („გაძევება“) ანუ—ასე გასინჯეთ—**სიცოცხლეს** („ჩამოხრჩობა“) იმათ მეტისმეტათ ვიწროთ ესმით სწორეთ ის თავისუფლება, რომლის სახელითაც იგინი მე ბრალსა მდებენ.

როდესაც ჩემს თანამოაზრეებს მოვუწოდებ გაიმიჯნონ იმ ადამიანებისაგან, რომელნიც ვერ იქნებიან მათი იდეიური ამხანაგები, მე მაშინ ვსარგებლობ ყველა „ადამიანისა და მოქალაქის“ მიუცილებელ უფლებით; ხოლო როდესაც ამის გამო თქვენ, ბ-ნო ბოგდანოვო, თქვენ სასაცილო ხმაურობას სტეხავთ და ჩემზე ეჭვი მოგაქვთ, ვითომ მე ვემუქროდე თქვენ პერსონას, ამით მხოლოდ იმას ამტკიცებთ, რომ თქვენ ერთობ ცუდათ შეგიგნიათ ეს მიუცილებელი უფლება.

თქვენ, არა მარქსისტს, დაჟინებით გინდათ, რომ ჩვენ, მარქსისტები, ჩვენს **ამხანაგათა** გთვლიდეთ. თქვენ მე მაგონებთ გლებ უსპენსკის იმ დედას, რომელიც თავის შვილსა სწერდა,—რადგანაც ჩემზე ძალიან შორსა სცხოვრობ და არც ისწრაფვი ჩემს ნახვას, პოლიციაში გიჩივლებ, რომ „ნაჩალსტვომ“ საშუალება მომცეს „ეტაფით“ „მოგეხვიოვო“. უსპენსკის „მეშჩანინს“, რომლისადმიც მიმართული იყო ეს დედობრივი მუქარა, ამის გახსენებაზე ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ხოლმე ცრემლები. ჩვენ, რუსი მარქსისტები, ამგვარ საბაბზე ტირილს არ დავიწყებთ. მაგრამ ჩვენ ხელს არ შეგვიშლის განგიცხადოთ, რომ ჩვენ გვსურს მთელის სავსებით ვისარგებლოთ ჩვენი უფლებით გამიჯვნის შესახებ, და რომ

ჩვენს „ეტაპით“ „მოხვევნას“ ვერ მოახერხებთ ვერც თქვენ და ვერც სხვა ვინმე.

ამას უნდა დავძინო კიდევ აი რა: მე რომ საზოგადოთ დუმბაძესი რაიმე მზგავსება მქონდეს, მე თუნდაც საზოგადოთ იმ აზრს ვადგე, რომ შეიძლება იყვენ ისეთი ადამიანები, რომელნიც ღირსი არიან სიკვდილით დასჯისა (თუნდაც ბრჭყალებში) თავიანთ რწმენისათვის, მე თქვენ, ბ-ნო ბოგდანოვო, ამათ რიცხვს მაინც არ მიგათვლიდით. მე მაშინ ვეტყოდი ჩემ თავს: „**უფლებას სიკვდილით დასჯაზე**“ იძლევა ტალანტი, და ჩვენს ემპირიომონიზმის თეორეტიკოსს კი ტალანტის ნასახიც არ გააჩნია. იგი ღირსი არ არის სიკვდილით დასჯისა!“

თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, დაჟინებით მიწვევთ გულ-ახდილი ვიყო, მაშ ნუღარ გეწყინებათ თუ გულახდილი ვიქნები.

თქვენ მე წარმოდგენილი მყევხართ ნეტარ-ხსენებულ ვასილ ტრედიაკოვსკის მაგვარ ადამიანათ: კაცი არა მცირედის ბეჯითობისა, მაგრამ საუბედუროთ—ძალიან მცირედის ნიჭიერების პატრონი. ისეთ ადამიანებთან რომ საქმე იქონიო, როგორიც იყო განსვენებული პროფესორი ელოკვენციისა (მჭერმეტყველების), ერთობ დიდი ძალა უნდა შეგწევდეს მოწყენილობის დასაძლევათ. მე კი ეს ძალა არც ისე ბევრი მაქვს. აი რისთვის არ ვიქონიე თქვენთან საქმე დღევანდლამდის; აი რისთვის არ გამოგეპასუხეთ დღევანდლამდის, მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ არა ერთხელ პირდაპირ გამომიწვიეთ.

მე ვეუბნებოდი ჩემ თავს: J'ai d' autres chats à fouetter (მე სხვა კატები მყავს გასაწკეპლი) და რომ ამას ვამბობდი გულწრფელათ და არა იმისთვის, რომ საბაბი მეშოვა თავიდან ამეცილებინა თქვენთან საპოლემიკო შეჭიდება, ამას ამტკიცებს ჩემი საქციელები: მას შემდეგ, რაც თქვენ დამიწყეთ გამოწვევა, მე მართლაც „გავწკეპლე“—მწუხარე აუცილებლობა!—არა ერთი და ორი „კატა“. თქვენ კი, რა თქმა უნდა, სხვაგვარათ ჰხსნიდით ჩემს სიჩუმეს; როგორცა სჩანს, თქვენა ჰფიქრობდით, ვითომ მე ვერ გამებედნა დავტაკებოდი თქვენს ფილოსოფიურ სიმაგრეს და ისევ ვარჩევდი მეგზავნა თქვენთვის ცალიერი მუქარა, რომ „ნისიათ“ გაგაკრიტიკებდით. მე არ უარვყოფ თქვენს უფლებას თავი იტყუოთ, მაგრამ მე ჩემის მხრივ უფლება მაქვს გითხრათ: თქვენ თავი გიტყუებიათ. ნამდვილათ, მე მხოლოდ საჭიროთ არა ვთვლიდი თქვენთან კამათს, რადგან ვფიქრობდი, რომ რუსეთის პროლეტარიატის ცნობიერი წარმომადგენელნი თვითონვე შეიძლებდენ დაეფასებინათ თქვენი ფილოსოფიური სიბრძნენი. გარდა ამისა, — როგორც უკვე გითხარით, — J'avais d'autres chats á fouetter. ასე მაგ. ამ ორიოდე წლის წინათ, ე. ი. იმავე ხანებში, როცა „Вѣстникъ Жизни“-ში დაიბეჭდა თქვენი ღია წერილი ჩემდამო, ზოგიერთი ჩემი ამხანაგები მირჩევდენ თქვენთვის მომეკიდნა ხელი; მაგრამ მე მათ ვუპასუხე, რომ უფრო სასარგებლო იქნებოდა ხელი მიმეყო ბ. არ. ლაბრიოლასთვის, რომლის შეხედულებებსაც თქვენი თანამოაზრე ბ. ა. ლუნაჩარსკი რუსეთში გადმოეზიდებოდა, ვითარცა იარაღს „მართლმადიდებელ მარქსისტებისათვის გალესილს“. ჩვენში არ. ლაბრიოლას წიგნი, რასაც დართული ჰქონდა ბ. ლუნაჩარსკის ბოლოსიტყვაობა, გზას უკაფავდა სინდიკალიზმს, და მე ვამჯობინე მისთვის მიმეყო ხელი, გარნა თქვენს ჩემდა მომართულ ღია წერილზე პასუხი კი ჯერ ხანობით გადამედო. მართალი გითხრათ, „სკუკით“ დაშინებული, მე ეხლაც არ მოგცემდით პასუხს, თუ არ იგივე ბ. ანატოლ ლუნაჩარსკი. სანამ თქვენ ტრედიაკოვობდით (ჩხირკედელობდით) თქვენს „ემპირი მონიზმში“, მან იწყო ახალ რელიგიის ქადაგება — ჩვენმა ცქვიტმა ყველგან იცქვიტა — და ამ ქადაგებას კი შეიძლება გაცილებით უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა ექმნეს, ვიდრე თქვენ ფილოსოფიურ იდეების ქადაგებას. მართალია მე, როგორც ენგელსსაც, დღეს გათავებულათ მიმაჩნია „რელიგიის ყველა შესაძლებლობანი“(alle Möglichkeitn der Relgion sind erschöpft [1]). მაგრამ მე არ მავიწყდება, რომ ეს შესაძლებლობანი — სწორეთ რომ ვსთქვათ — გათავებულია მხოლოთ შეგნებულ პროლეტარებისათვის. შეგნებულ პროლეტარებს გარდა არიან კიდევ ნახევრათ შეგნებულნი და სრულიად შეუგნებელი პროლეტარები. მუშათა კლასის ამ ელემენტების განვითარების პროცესისათვის რელიგიური ქადაგება შეიძლება არა მცირე მნიშვნელოვან უარყოფითი რაოდენობათ გახდეს. დაბოლოს, ნახევრათ შეგნებულ და სრულიად შეუგნებელ პროლეტარებს გარდა ჩვენში კიდევ მრავლათ არიან „ინტელიგენტები“, რომელთაც, რასაკვირველია, თავის თავი წარმოუდგენიათ სრულიად შეგნებულებათ, ნამდვილათ კი, ისინი შეუგნებლებათ არიან გატაცებულნი ყოველ ახალმოდურ მიმდინარეობითა, და — რაიც გასაგებია „ჩვენს დროში“ — გიოტე ამბობდა, ყველა რეაქციონური ეპოქა სუბიექტიურიათ — მეტათ მიდრეკილნი არიან სხვა და სხვა გვარ მისტიციზმისაკენ. ამ ადამიანებისათვის ისეთი გამოგონებანი, როგორიც არის ახალი რელიგია, მ. ხ. თქვენის თანამოზიარისა, ნამდვილი ნაპოვნი განძია. ისინი ამ გვარ გამოგონებათ ისე ესევიან, როგორც ბუზები თაფლს. ხოლო რადგან საკმაო რიცხვს ამ ბატონებისას, რომელნიც ხარბათ ეტანებიან ყველა იმას, რასაც კი მათ უკანასკნელი წიგნი მოუტანს, ჩვენდა სანანურად, ჯერ კიდევ სავსებით არ გაუწყვეტიათ კავშირი პროლეტარიატთან**), მათ შეუ-

*) იხ. ენგელსის სტატია „Die Lage Englands“ რომელიც პირველათ გამოვიდა „Deutseh — fsanz osiscle Iahbücler“-ში და მერე გადაიბეჭდა „Nachlass etc.“-ში. ტ. I გვ. 484.

**) ისინი ამ კავშირს მალე გასწყვეტენ. თანამედროვე გატაცებანი ყოველგვარ ახალმოდის ანტიმატერიალისტურ „იზმებით“ სიმპტომია იმისა, რომ ჩვენი ინტელიგენციის „მხოფლმხედველობა“ ეგუება იმ იდეათა „კომპლექს,“ რომლის მატარებელია თანამედროვე ბურჟუაზია. ჯერ-ჯერობით კი მატერიალიზმის ზოგიერთი ინტელიგენტი მოწინაღმდეგენი თავის თავს ისევ პროლეტარიატის იდეოლოგებათ სთვლიან და ზოგჯერ გვარიანადაც ახერხებენ გავლენა მოიპოვონ მასზე.

ძლიანთ ამ უკანასკნელსაც გადასდონ თავიანთი მოსტიკური გატაცებანი.

ამის გამო გადავწყვიტე, რომ ჩვენ, მარქსისტები, ვალდებული ვართ მტკიცე წინააღმდეგობა გავუწიოთ არა მარტო ახალ სახარებას ანატოლისას, არამედ აგრეთვე, ცოტა უკვე მოძველებულ, ფილოსოფიის ერნსტისას (მახისა), რომელიც თქვენ მიერ, ბ. ბოგდანოვო, ცოტათ თუ ბევრათ შეკეთებულია რუსეთში სახმრებლათ. აი მხოლოდ ამიტომ შევუდექ თქვენთვის პასუხის მოცემას.

ვიცი, ბევრ ამხანაგს უკვირდა, რომ დღემდე საჭიროთ არა ვთვლიდი თქვენთან პოლემიკას. ეს იგივე ძველი, მაგრამ მუდამ ახალი ისტორიაა. ჯერ კიდევ მაშინ როცა ბ. სტრუვემ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი „Критическія замѣтки“, ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც ამ ნაწარმოების ავტორს სამართლიანათა სთვლიდენ ისეთ ადამიანათ, ვისაც ჯერ არა ჰქონდა შემუშავებული დამთავრებული მსოფლმხედველობა, ეს ამხანაგები მეთქი, მირჩევდენ მის წინააღმდეგ გალაშქრებას. ასეთი რჩევით უფრო დაჟინებით მომმართავდენ, როცა ბ. სტრუვემ ჟურნალში „Вопросы Философіи и психологіи“ მოათავსა თავისი სტატია „О свободѣ и необходимости“. მახსოვს, ლენინი, როცა მან 1900 წ. ზაფხულს მინახულა, მეკითხებოდა თუ რისთვის დავტოვე ეს სტატია უყურადღებოთ. ჩემი პასუხი ლენინისად მი ძალიან მარტივი იყო: ის აზრები, რასაც ბ. სტრუვე გამოსთქვამდა სტატიაში „О свободѣ и необходимости“, მე უკვე დარღვეული მქონდა წიგნში „Къ вопросу о развитіи монистическаго взгляда на исторію“. იმათთვის, ვისაც წაკითხული და გაგებული ჰქონდა ჩემი წიგნი, აშკარა უნდა ყოფილიყო თუ რაში მდგომარეობდა „Крит. замѣт.“-ის ავტორის ახალი შეცდომა. ხოლო იმათთვის კი, ვისაც ჩემი წიგნი წაკითხული ან შეგნებული არა ჰქონდათ, მე არ მეცალა არასოდეს არ მიფიქრნია, ვითომ ვალდებული ვიყო ჩვენი მარქსისტულ ინტელიგენციისათვის ვითამაშო შჩედრინის იმ ჭოტის როლი, რომელიც განუშორებლივ უკან დასდევდა არწივს, რათა მისთვის ხმოვანი მეთოდით ესწავლებინა: თქვენო დიდებულებავ, სთქვით ბ, გ, დ. შჩედრინის ჭოტმა იმდენათ მოაბეზრა თავი არწივს, რომ ამან ჯერ დასწივლა დამეხსენი, წყეულოო, და მერე სულიც გააფრთხობინა. არ ვიცი მელოდა თუ არა რაიმე საშიშროება, მე რომ რუსეთის მომარქსისტო ინტელიგენციის წინაშე მასწავლებელ — ჭოტის როლი მეტვირთნა. მაგრამ ასეთ უკეთურ როლის შესასრულებლათ მე არც სურვილი და არც დრო არ მომეპოვებოდა, რადგან გასაკეთებელი მქონდა — სხვა პრაქტიკული და — უმთავრესად — თეორეტიული საქმეები. ძალიან კი დავწინაურდებოდი თეორიაში, მე რომ „ხმის ამოღება“ დამეწყო ყველა იმის შესახებ, რაზედაც კი მთხოვდენ და მთხოვენ ხოლმე „ხმის ამოღებას“. საკმაოა დავასახელო, რომ ზოგიერთი მკითხველები მსურველნი იყვენ ჩემი აზრი გამომეთქვა ჩვენ თანამედროვე ეროტიზმზე (ე. ი. ბ. არციბაშევსა და კამპ.-ზე) სხვები კიდევ მეკითხებოდენ თუ რა აზრისა ვარ ქ-ნ აისიდორა დიუნკანის ცეკვის შესახებ. ვაი იმ მწერალს, რომელიც შეუდგებოდა „ხმის ამოღებას“ ყველა იმის შესახებ, რაც მოეპრიანებოდა კაპრიზიან და ნერვებიან ქალბატონ-ინტელიგენციის გემოვნებას. აიღეთ ამ ქალბატონის თუნდ ფილოსოფიური გემოვნება. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც იგი კანტით იყო გატაცებული? განა დიდი ხანია, რაც ის ჩვენგან ითხოვდა პასუხს კანტიანელების მიერ მარქსის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკაზე? არა, სულ ცოტა ხანია! ისე ცოტა ხანი, რომ ჯერ არც კი გაცვეთილა ის ბაჩაჩები, რომლითაც ეს ქარაფშუტა ქაბალტონი კუდში დასდევდა ნეოკანტიანობას. კანტის შემდეგ მოგვევლინა ავენარიუსი და მახი. ემპირიოკრიტიციზმის ამ ორ აიაქსის შემდეგ კიდევ წამოდგა იოსებ დიცგენი, ეხლა იოსებ დიცგენსაც მოჰყვა პუანკარე და ბერგსონი. „კლეოპატრას ბევრი მოტრფიალე ჰყავდა!“ მაგრამ დაე ვისაც უნდა, ის ეომოს ამათ, მე კი მით უფრო ნაკლებ მსურველი ვარ ამისა, რომ სრულიად არავითარი პრეტენზია არა მაქვს თავი მოვაწონო ჩვენს თანამედროვე ინტელიგენციას: იგი ჩემი რომანის გმირი არ არის..

გ. პ.

(შემდეგი იქნება).

# პატარა ფელეტონი

**გამოძახილი.**

ბ. რობაქიძის ლექცია.—გვაზავას ალსარება.—უმჯობესია გვიან, ვიდრე სულ არა.—სამკითხველოს „გოგუცანები“.

მართალია, ჩემს პატარა ფელეტონს ერთი შეხედვით ახირებული სათაური აქვს, მაგრამ ახირებულობა ხომ ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა დღეს როგორც მწერლობაში, ისე ცხოვრებაში, და ამიტომ მაინც და მაინც ალარც მე ვიცხელებ თავს სათაურისათვის. ამასთან შეიძლება ჩემი ფელეტონის შინაარსიც არ ეთანხმებოდეს სათაურს, მაგრამ ესეც ხომ ჩვეულებრივი ამბავია დღეს (განსაკუთრებით ლექტორების ცხოვრებაში); შეიძლება რამდენიმეთ წავიოცნებო კიდეც, რადგან ხშირათ სინამდვილე არ არის მიმზიდველი, წარმტაცი, ლამაზი. *)

აი, თუნდ ბ. რობაქიძის ლექცია. განა ის რომ სინამდვილეზე ყოფილიყო აშენებული, ისეთ შთაბეჭდილებას მოახდენდა, როგორც მოახდინა, განსაკუთრებით mademoiselle-ბზე? ,,Дѣло мастера боится“-ო, სწორეთ ბ. რობაქიძეზე ითქმის. ბ. რობაქიძე „მასტერია“ ლექციების კითხვის და მის ლექციებს განსაკუთრებულ მიმზიდველობას აძლევს ის გარემოება, რომ ის ფარ-

*) ისე, როგორც გორკი გვაზავას ლექსები.

შენიშვნა ამწყობისა.

თოთ შლის ფრთებს ოცნების სამეფოში სანავარდოთ. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ვაჟა-ფშაველა ოსკარ უაილდის და კნუტ ჰამსუნის მაღლა დგას, ან კიდევ გიოტეს სწორია, მაგრამ ამას ბ. რობაქიძის ლექციის სილამაზე ამტკიცებს და სხვა საბუთი რაღა საჭიროა! თეატრის ფოიეში ხომ გულუბრყვილო ქალებმა ძალა წაიღეს: რა ლამაზათ ლაპარაკობს, რა მხატვრულათ ლაპარაკობსო. გაზეთებმაც აღნიშნეს მოკლეთ: ლექცია ლამაზი, მხატვრული და სასიამოვნო სასმენი იყოვო. სხვა? სხვა არაფერი, და არაფერი იმიტომ, რომ არაფერი გამოჰყოლიათ სახლში, გარდა ლამაზი სიტყვებისა და ჟესტიკულიაციისა. ყოველ შემთხვევაში, ბ. რობაქიძის ლექციამ ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კარგი პოეტისათვის, კარგი მწერლისთვის საჭიროა კარგი კრიტიკოსიც. ვაჟას მნიშვნელობა ერთი ათათ გაიზარდა ყველა იმათ თვალში, ვინც ლექციას დაესწრო.

—

უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ კარგი კრიტიკოსები ბევრ კარგ მწერალს ვერ ამჩნევენ ხშირათ და უკანასკნელთა მნიშვნელობაც უმნიშვნელოა უბრალო მომაკვდავთა თვალში. ეს გარემოება კარგათ გაუთვალისწინებია „ლუგანოს გოგუცანების“ მოარშიყეს, „ზაკავკაზიესა“ და „ივერიის“ სახელოვან თანამშრომელს ბ. გ. გვაზავას. უფიქრია, ვინ იცის, როდის მოიცლიან ჩემს შესახებ ლექციის წასაკითხათ, მოდი ისევ მევე დავაფასებ ჩემს მოღვაწეობასო და დაუფასებია კიდეც. მაგრამ დაუფასებია ისე, რომ არა მგონია ამის შემდეგ ვინმემ გაბედოს მის შესახებ ლექციის წაკითხვა. აი, როგორ აფასებს ბ. გვაზავა თავის თავს „ივერიის“ მე 10 ნომერში.

„ტურფამ მითხრა: არა მჯერა,
რომ შენ გწვამდეს ბედისწერა
შენი ქვეყნის და მით გული
მართლა გქონდეს დადაგული.
შენა შრომობ ისე, რომა
ყოველგვარი შენი შრომა
უშნოა და უფერული“.

ბ. გვაზავას უპასუხნია: „უშნოა და ულამაზო ჩემი შრომა“ იმიტომ, „რომ მე გული ერთი მქონდა, ის ხომ შენვე მომიკალი“-ო. ამ გულახდილი აღსარების შემდეგ „გულმოკლულ“ საზოგადო მოღვაწეს, რომლის ყოველი „შრომა უშნოა და უფერული“, იმედია შთამომავლობა აპატიებს, თუ რამ სისულელე დასწერა, აი თუნდ ისეთი, როგორიც 8 მარტის „ზაკავკაზიე“-ში დაუწერია. „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, მაგრამ მაინც მადლობა ბ. გვაზავას აღსარებისათვის. სწორეთ დრო იყო.

„Лучше поздно, чѣмъ никогда“.

ამ ანდაზის მნიშვნელობა კარგათ შეუგნია ქართულ დრამ. საზ. გამგეობას და ამ საზოგადოების არტისტებს და დაუწყიათ ინტრიგანობა. შედეგი? შედეგი ისა, რომ დასს ხელიდან ეცლება საკმაოდ სასარგებლო ძალები: ალ. იმედაშვილი, გედევანოვი, შათირიშვილი, და ივანიძე. სამაგიეროთ დასში ისევ მიიღეს ბ. იმხნელი და ქ. საგინაშვილი. ალბათ დახელოვნებული მსახიობები აღარ არის საჭირო, უიმათოთაც იოლათ წავლენ.

—

ზემოხსენებული ანდაზის მნიშვნელობა არც ავჭალის სამკითხველოს გამგეებს დავიწყნიათ და 8 მარტს „ქუჩური ლიტერატურა“, რომლის შესახებ უკვე იყო შენიშვნა „სალამურში“, ფეხს შეუკვეთეს. ეს „მათრახის“ შემდეგ მოხდა, მაგრამ ზემოხსენებული ანდაზა მაინც ძალაში რჩება. კარგი იქნება, თუ მეორე გარემოებასაც მიაქცევდენ ყურადღებას, სახელდობრ იმას, რომ სამკითხველო სამკითხველოა და არა პაემანების ადგილი. ამას აუცილებლათ უნდა გაუწიოთ, ბ.ბ., ანგარიში, თორემ ვინ იცის, იქნებ ოდესმე გიორგი გვაზავას შემოუცდეს ფეხი თქვენს სამკითხველოში და თუ ლუგანოს „გოგუცანების“ შესახებ ურჩია მგზავრებს: დარჩი ლუგანოში და „თავი სიამეს ანები“-ო, სამკითხველოს „გოგუცანების“ შესახებ სულ სხვა რამეს დასწერს და... მერე? მერე ის, რომ მოგვეჭრება თავი.

Rigoriste.

# რუსეთის პრესა

—

### სახელმწიფოს ვითარების შესახებ

როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, უმართებულეს სენატმა გაუსამართლებლივ სიკვდილით დასჯა კანონიერათ აღიარა იმ ადგილებისთვის, სადაც გამოცხადებულია „სამხედრო მდგომარეობა“. სენატის ამ განმარტების შესახებ გაზ. „რუს. ვედ.“ სწერს:

„უკანასკნელი განმარტება ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, თუ რას ნიშნავს ცხოვრებაში ეს სახელმწიფო უფლებრივი რუბრიკები და მიჯნები (კანონიერი, უკანონო და სხ.). იგი გაგვახსენებს იმ საზარელ წინააღმდეგობათ (противорѣчія), რომლითაც გაჟღენთილია მთელი ჩვენი სახელმწიფო წეს-წყობილება,— იმ წინააღმდეგობათ, რომ სრულ თვითნებობის აქტებს ზედ ეფარება კანონიერების მანტია. უკანასკნელ წლების განმავლობაში უფლებრივ ცნობიერებას სისტემატიურათ ძირს უთხრიან აღვირწახსნილ რეპრესიების წარმოებით, მართლმსაჯულების და პოლიტიკურ შურისძიების მიზანის ერთმანეთში არევით და მუდამ ორგვარ საზომის და ორგვარ სასწორის ხმარებით იმისდა კვალად ეპრიანებათ თუ არ ეპრიანებათ საზოგადოების ესა თუ ის ელემენტები. საშინელია ქვეყნის მდგომარეობა, როცა შეიძლება უსამართლოდ სიკვდილით დასჯა; მაგრამ უფრო კიდევ საშინელია იქ, სადაც ეს შეიძლება ჩაიდინონ „კანონის ძალით“.

როგორცა ჰხედავთ, ჩვენ უკვე მივაღწიეთ ისეთ ვითარებას, სიცა ლიბერალები და უბრალო პროგრესისტები სახელმწიფო საქმეებზე ზოგჯერ გამოსთქვამენ ისეთ აზრს, რასაც თვით უკიდურესი მემარცხენე ვერც მოუმატებს და ვერც გამოაკლებს რასმე.

*

## ა. ს. სუვორინის იუბილეის გამო.

„ნოვ. ვრემია“-ს სულის ჩამდგმელს და სრულიად რუსეთის რეაქციონერების მებაირაღტრე სუვორინს, რომელსაც თავისიანებმა ეხლა ხან დიდის ზეიმით გადაუხადეს 50 წ. მოღვაწეობის საიუბილეო დღესასწაული, ცნობილი ფელეტონისტი დოროშევიჩი „რუს. სლოვოში“ მეტათ მოსწრებულათ ახასიათებს; იგი სხვათა შორის სწერს:

„წამსა ძნელსა და მძიმესა განსვენებულმა ფონ-პლევემ თავისთან მოიწვია სუვორინი.

— ეს ლაპარაკი არ იქნება პრესაში გამომჟღავნებული, მაგრამ სრულიად გულ-ახდილათ ვიმუსაიფებთ. ის, რასაც თქვენ მეტყვით, არც თქვენთვის და არც თქვენი გაზეთისათვის არ იქონიებს გავლენას. თქვენის აზრით, რა არის საჭირო რუსეთისათვის?

სუვორინმა უპასუხა:

— კონსტიტუცია.

ფონ-პლევემ, როგორც სწერია ხოლმე ძველს ისტორიებში,— „გაისტუმრა ისე, რომ არაფერი არ დაუშავებია.

და რასაკვირველია გამოსცა რომელიმე ახალი „პრიკაზი“:

— გაძლიერებულ იქმნას პოლიცია!

„ნოვ. ვრემია“ კი ამ „პრიკაზით“ ალტაცებაში მოვიდა:

— აი სწორეთ ეს იყო საჭირო!

# შინაური ამბები.

— ამას წინათ თფ. ქალაქის საბჭომ უარჰყო ადმინისტრაციის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ პოლიციის მოხელეთა ახლათ შესაიარაღებლათ 1720 მანეთი გადაედო საბჭოს. საგუბერნიო მთავრობამ ეხლა უფრო მეტი მოსთხოვა ქალაქს: საჭიროა 42, 138 მანეთიო, — სწერს გუბერნატორი ქალაქის გამგეობას — და, უდგენს რა ხარჯთაღრიცხვას, წინადადებას აძლევს შეიტანოს საბჭოში მოხსენება ამ ფულის გადადების შესახებ.

— ამ ჟამათ პეტერბურგში მყოფ თფილისის ქალაქის თავს უნახავს გზათა მინისტრი რუხლოვი და ულაპარაკნია კავკასიის უღელტეხილზე განზრახულ რკინის გზის გაყვანის შესახებ. მინისტრს უთქვამს მომავალ წლის ხარჯთა აღრიცხვაში 350,000 მან. შევიტან გზის გამოსაკვლევათო. გზის გაყვანა სულ დაჯდება 70 მილიონ მანეთად.

— ამ ბოლო დროს მეტათ გახშირდა თფილისში ჩხრეკა და დაპატიმრება. აპატიმრებენ უმთავრესად უპასპორტოებს.

— პოლიციას გაუთხრია სომეხთა ძველ სასაფლაოზე ერთი ადგილი და იქ იარაღის მოწყობილება აღმოუჩენია.

— თფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე, რომ ნება დაერთოს უნივერსიტეტს ხალხისთვის გასაგებ ენაზე გამართოს თფილისში რუსეთის გამოჩენილ მწერლის გოგოლის საიუბილეო დღესასწაული.

— **ხონი.** 26 აპრილს აკაკის თანადასწრებით გადაიხდიან აქ აკაკის საიუბილეო დღესასწაულს.

— 20 მარტს ხონის ვაჟების პროგიმნაზიაში გოგოლის ხსოვნის პატივსაცემლათ გაიმართება საღამო. ითამაშებენ გოგოლის «რევიზორს» ქართულ ენაზე.

— 12 მარტს კავკ. ნამესტნიკმა მიიღო ქალაქის თავის მო[illegible]ილე ხატისოვი, ხატისოვმა გადასცა ნამესტნიკს შუამდგომლობა ქალაქის საბჭოსი—ნება მიეცეს მას განიხილოს საკითხი მცარცველებისა და შანტაჟისტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ნამესტნიკმა შეუძლებლად სცნო საბჭოში ამ საკითხის განხილვა იმ დრომდე, ვიდრე მას არ განიხილავენ იმ თათბირზე, რომელიც უნდა მოწვეულ იქნას ტფ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით. დასასრულს, ნამესტნიკმა გამოჰკითხა ხატისოვს ის, თუ რა მდგომარეობაშია ქალაქი.

— სააქციონერო საზოგადოება. ტფ. სომეხ ინტელიგენტთა ერთის ჯგუფის მეთაურობით ტფილისში არსდება სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც აზრად ექნება საქონლისა და მამულების დაგირავება. გამოცემულია 6000 აქცია თითო 50 მანეთად. სულ უნდა შესდგეს 300,000 მანეთი. ამ თანხის შევსებისათანავე საზოგადოება შეუდგება მოქმედებას.

— ქუთ. გენ.-გუბერნატორმა ორის კვირით დასტოვა ქუთაისში ისინი, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლება 22 თებერვალს დეპუტატთა საკრებულოში მომხდარ კერძო თათბირზე დასწრების გამო. როგორც გავიგეთ, გადასახლება მიუსჯიათ ზოგიერთ ისეთ პირთათვის, რომელსაც კერძო კრებაზე კრინტიც არ დაუძრავს. ამბობენ, გუბერნატორი შეცდომაში შეიყვანეს კერძო პირებმა, რომელნიც დაინტერესებული იყვნენ, რომ ზოგიერთი, მათთვის არა სასიამოვნო პირი, ქუთაისიდან გაეძევებინათო. იმედი აქვთ, რომ გუბერნატორი გამოარკვევს ყველაფერს. (დროება).

# რუსეთის ცხოვრება

—,—

**სოც. დემ. საქმე.** პეტერბურგის დეპ. სააგენტოს ატყობინებენ რიგიდან, რომ სამხედრო ოლქის სასამართლოს გაურჩევია საქმე ლატიშთა მხრის ორის რაიონის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტის წევრთა, რიცხვით 45 კაცისა. სასამართლოს 27 კაცისათვის კატორღა გადაუწყვეტია სხვა და სხვა ვადით, 7 ციმბირში გადაუსახლებია, ათი გაუმართლებია, ერთი კი საქმის გარჩევამდე გადამალულა.

**თანამედროვე სტატისტიკა.** 1-ლ თებერვლიდან 28-მდე, გაზეთების ცნობებით, რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტა 118 კაცს. აქედან: ეკატერინოსლავში—28, ვარშავაში—15, ტამბოვში—13, სარატოვსა, უფასა და კიევში თითოეულში—8, თფილისსა და სევასტოპოლში—6 თითოგან, მოსკოვში—5, ვილნოში—4 და ასე.

ჩამოახრჩვეს ამ დროს განმავლობაში რუსეთის სხვა და სხვა ადგილას 75 კაცი (თებერვალში წარსულ წელს 56). ზემოხსენებულ რიცხვში შეტანილი არაა 15 სიკვდილით სასჯელი, რომლის შესახებაც გაზეთები იუწყებიან, რომ, ეს მოხდა მოსკოვში ამ უკანასკნელ დროსაო,“ თუმცა რა რიცხვებში მოხდა, არაა აღნიშნული.

ამ განაჩენიდან ყველაზე მეტი რიცხვი ვარშავაში მოიყვანეს სისრულეში, ჩამოახრჩეს—13. ამას მოჰყვება: ეკატერინოსლავი—12, კურსკი—12, კიევი—8, სარა-

ტოვი — 5, ოდესსა — 4, ტამბოვი — 4, დუბნო — 2 და სხვ...

თებერვლისავე განმავლობაში 14 შემთხვევა ყოფილა ბეჭდვითი სიტყვის დევნისა და დაჯარიმებისა, რაც საერთო ჯამს 9,300 მან. შეადგენს. („რეჩი“)

პოლიციის დეპარტამენტის ცნობებით, რომელიც სასამართლოს კომისიამ წარუდგინა სახელმწიფო დუმას სიკვდილით დასასჯელთა და დასჯილთა შესახებ, რიცხვი ამათი 1905 წლიდან 1909 წლის 1-ლ იანვრამდე შემდეგი ყოფილა:

| წ. წ. | რიცხვი დასასჯელთა | რიცხვი დასჯილთა |
|---|---|---|
| 1905 | 72 | 10 |
| 1906 | 450 | 144 |
| 1907 | 1056 | 456 |
| 1908 | 1741 | 825 |
| სულ | 3310 | 1435 |

გარდა ამისა სამხედრო-საველე სასამართლოს 1907 წ. 19 აგვისტოდან 20 აპრილამდე ჩამოუხრჩვია 683 კაცი. („რეჩი“)

— ახალგაზრდა ფინთა მოწოდება. ნეოფინომანთა პარტიამ გამოსცა მოწოდება ამომრჩეველთადმი. მოწოდებაში ნათქვამია, რომ სეიმის გადაყენების მიზეზი იყო სიტყვა ტალმანისა, რომელმაც გამოსთქვა აზრი და სურვილი მთელის სეიმისა ფინლიანდიის საქმეთა მდგომარეობის შესახებ. პარტია, აღნიშნავს რა ამას, მოუწოდებს ფინლიანდიის ხალხს, ხმა მისცენ იმ კანდიდატებს, რომელნიც თავგამოდებით იბრძოლებენ იმ მიმართულებითვე, რასაც ადგა წინანდელი სეიმი. მოწოდებაში ნათქვამია აგრეთვე, ამომრჩეველთა ხმის მიცემამ უნდა ცხადჰყოს, რომ ფინთა სურვილი არ ეწინააღმდეგება იმ სურვილს, რაც ტალმანის სიტყვაში იყო გამოთქმულიო. („რეჩი“).

— გერმანული გაზეთები იუწყებიან, რომ „ცნობილი გმირი“ აზეფი ამ ჟამათ ამერიკაში, ქალაქ სან-ფრანცისკოში არის თავის მეგობარ ვეისმანთან ერთად და აქედან იაპონიაში გაქცევას აპირებსო.

— ვიტტეს მოკვლის განზრახვის საქმე. ვიტ. მის პრემიერად ყოფნის დროს, მოკვლა განუზრახეს. ამ საქმის გამოძიება ეხლა გამოძიება სწარმოებს. მისი მოკვლის განზრახვას „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“ აწერენ. გამომძიებელს ჯერ-ჯერობით ჩვენება ჩამოურთმევია „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს ყოფილ მდივნის—პრუსაკოვისთვის და თავმჯდომარის დუბროვინისთვის.

— სამხედრო- საექიმო აკადემიაში. სამხედრო-საექიმო აკადემიის სტუდენტ-სერბებს აკადემიის უფროსისთვის მიუმართავთ, ნება მოგვეცით, სასანიტარო რაზმი მოვაწყოთ და, თუ ომი დაიწყო, სერბიასა და ჩერნოგორიაშა წავიდეთო. სერბიელების გარდა, რაზმში ჩაწერის სურვილი ბევრ რუს ექიმს და სტუდენტს განუცხადებია.

# კარლ მარქსი და ჰერბერტ სპენსერი

(მაქსიმ კოვალევსკის ლექცია).

—:—

პეტრეს სახელობის კომერციულ სასწავლებლის სააქტო დიდ დარბაზში 24 თებერვალს მ. მ. კოვალევსკიმ წაიკითხა საჯარო ლექცია ამ თემაზე — „ორი სიცოცხლე: კარლ მარქსი და ჰერბერტ სპენსერი“.

ლექტორმა თავის სიტყვაში, რომელიც სამ საათს გაგრძელდა, დაასურათხატა ცხოვრება იმ ორ გენიათა, რომელნიც გონებრივი წინამძღოლნი იყვნენ ევროპისა მე-XIX ს. მეორე ნახევარში.

ლექტორი თავის ლექციაში სრულიად არ შეეხებია ამ მოაზროვნეთა მოძღვრებას, მან მხოლოდ საინტერესო პარალლელი გაატარა კარლ მარქსისა და ჰერბერტ სპენსერის ცხოვრების საყურადღებო ბიოგრაფიულ ცნობებში.

სახელ განთქმულ ავტორს „კაპიტალისას“ მ. მ. კოვალევსკი ახლო იცნობდა, მთელი ორ ნახევარი წლის განმავლობაში ყოველ კვირა დღეს მიდიოდა მასთან ლონდონში და ამიტომაც დიდებული ფიგურა მარქსისა, ლექტორის მიერ დახატული, განსაკუთრებით საინტერესოა.

როგორც მ. კოვალევსკი ამბობს, მარქსს საოცრად მიმზიდველი ბუნება ჰქონდა, უცხო ყოველგვარ სიყალბისა, თავის თავის გაღმერთებისა და თავის გამოჩენისაგან. გონება მახვილს, მშრომელს და პირდაპირს კ. მარქსს არ უყვარდა მხოლოდ თავისი მსჯელობა და აზრი სანტიმენტალურ სიტყვებით მოეკაზმა. სრულიად მართალი არ არის, ვითომ მარქსი მიუკარებელი იყო და ოლიმპიელათ ეჭირა თავი. მას არ უყვარდა, რომ მასთან მოსულიყვენ და ეშზირნათ მისთვის, როგორც რევოლუციის რაღაც უდიდებულეს რამეზე და ამიტომაც არ მიიღო მაგ. სანახავათ მოსული ლაველე და ბევრი იცინა, როცა უთხრეს, რეკლიუ გწამებს, ვითომ შენ ეტოქებოდე ზევსსაო, რომლის გამოსახულებაც მარქსსა ჰქონდა მისაღებ ოთახში. მარქსს სრულიადაც არა სწყენია, როცა სპენსერმა პასუხიც კი არ აღირსა „კაპიტალის“ პირველ ტომზე, რომელიც მარქსმა გაუგზავნა სპენსერს და ამ უკანასკნელმა წაკითხვაც კი არ მოისურვა, რათა თავისი ტვინისათვის სხვისი იდეა არ გადაედო.

თუმცა, თავდაპირველად სპენსერის იდეა სრულიად ეთანხმებოდა რამდენსამე იდეას მარქსისას. თავის „სოციალურ სტატიკა-“ში იგი ღაღადებს მიწის ნაციონალიზაციას, სახელმწიფოს მიერ უმუშევართა უზრუნველყოფას, საყოველთაო სწავლის შემოღებას. სპენსერი უფრო მოუცლელი იყო თავის თავზე ფიქრით და, ასე გასინჯეთ, სიცოცხლეშივე იპოვა ისეთი კაცი, რომელიც იმის სიკვდილის შემდეგ იტყოდა გამოსათხოვარ სიტყვას. შესაფერს იმის სან-

ტეტიურ ფილოსოფიის სისტემისას. რამდენ ად არ უყვარდათ სპენსერი ინგლისის საუნივერსიტეტო სფერებში გვაჩვენებს შემდეგი საყურადღებო ფაქტი: როცა ერთმა ახალგაზრდა მსწავლულმა დოქტორის ეგზამენზე ოქსფორდის უნივერსიტეტში თავის დისერტაციის დროს სპენსერის მონაწილეობა დაიმოწმა, ეგზამენტორებმა უთხრეს, ჩვენ ასეთ მსწავლულს არავის ვიცნობთო. და ეს იყო იმ დროს, როცა სპენსერის სახელი მთელს ევროპასა და ამერიკაში გრგვინავდა.

მ. კოვალევსკი ამბობს, რომ სპენსერის მოძღვრება თავისუფლებასა და პირადობის ავტონომიის შესახებ მხოლოდ ავსებს საზოგადო იდეალს მარქსისას და იმის შრომის თეორიისას. წინაალმდეგობა იმათ თეორიებში მხოლოდ გარეგნულია, თუ ჩავუკვირდებით შინაარსს სინტეტიურ ფილოსოფიისას და მოძღვრებას ეკონომიურ მატერიალიზმზე, როგორც სოციოლოგიის დედაბოძზე.

ლექტორმა გადმოგვცა რა პირობებში დაუახლოვდა მარქსს. ეს იყო კარლსბადში, საცა ისა და მარქსი ერთსა და იმავე ექიმთან დადიოდენ საწამლებლათ. ეს ექიმი სწამლობდა აგრეთვე გერმანელ ეკონომისტს როშერს. აკი ღმერთი გაუწყრა და ისა და მარქსი ერთმანეთს გააცნო. ალბათ, არ იცოდა, რომ მარქსის „კაპიტალში" ამ როშერის სახელი არა ერთხელ და ორჯერ იყო დაცინვით მოხსენებული. მ მ. კოვალევსკის როგორლაც მოულოდნელად გადაურჩენია მარქსი ამ უხერხულ ნაცნობობისათვის და ძველი დამოკიდებულება იმასა და მარქსს შორის, რომელიც ჯერ ისევ საფრანგეთშივე ჰქონიათ, ხელახლა თურმე განაახლეს და განამტკიცეს.

ლექციის გათავების შემდეგ სავსე დარბაზმა დაუსრულებელი ტაშის ცემით დააჯილდოვა ლექტორი.

**ნ. რ.**

---

# უცხოეთი

**ომის მოლოდინი**

ავსტრიის გულქვა მთავრობა ომის საღერღელ აშლილია და სურს, ძალით თუ ნებით, თავის მოქნილ კლანჭებში ჩაიბღუჯოს ბალკანეთის ერთი საუკეთესო კუთხე — სერბია. ერთ დროს იტალიაზე გამარჯვებით წათამამებულმა ავსტრიამ მით უფრო თამამად გაუფრატუნა თავისი შავი ფრთა სერბიას, რომ იქ გარიბალდის მრისხანე თვალების შიში არა აქვს, მაგრამ პატარა ერს რომ „დიდი სული" უდგია, იმისი მაგალითი მოგვცა ორანჟის რესპუბლიკამ, საცა ქალი და კაცი იარაღ ასხმული ეხვეოდა გარს თავის საყვარელ „ძია პავლეს" — პრეზიდენტ კრიუგერს — და მძლავრ მეტროპოლიისთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომს ეწეოდა.

ბურთა სახელგანთქმული გენერლები — ბოტა, დევეტი და დელარეი, — საზღაპრო რომელნიც მთელმა ქვეყნიერობამ ზღაპრულ გმირებათ აღიარა, ხალხის შვილები იყვნენ; სპარსეთის რევოლიუციის სული და გული სათარხანი ხალხის შვილია, იმის ძუძუთ ნაკვები, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე. და სწორეთ ამიტომაც არის, რომ მთელ სპარსეთის მშრომელი ხალხი ქედს იხრის სათარხანის წინაშე. ასეა, გაჭირვება, აბობოქრებული ზღვა ხალხის გულის წყრომისა გადმოსტყორცნის ხოლმე ობოლს მარგალიტს, — ამას ეწოდება სახალხო გმირი, ეს ასულდგმულებს სამართლიან ბრძოლას გააფარებულ მტრის დასაძლევათ.

ასე იქნება სერბიაშიაც. და რომ იქნება, ამას გვიმტკიცებს ის პაწაწა ცნობა, რომელიც გაზეთებმა გადმოგვცეს: 8000 მეომარი ქალი ჩაეწერა სერბიის თავისუფალ მეომართა რაზმებშიო.

ავსტრია ყოველის მხრით ემზადება; ბელგრადის პირდაპირ, მდინარე დუნაიაზე თავისი ფლოტილი დააყენა და დიდძალი სამხედრო მასალა დაიმზადა. ავსტრიის იმპერატორმა ფრანც-იოსებმა გულახდით აღიარა 5 მარტს დიპლომატიურ კორპუსისთვის საგანგებო სადილის დროს, რომ პოლიტიკურმა მდგომარეობამ სერიოზული ხასიათი მიიღო და დიდათ ვწუხვარო.

— როგორც უცხოეთის გაზეთები ირწმუნებიან, სერბია ყველაფერში რუსეთს ეკითხება თურმე. სერბიის ნოტებს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი ადგენს, ჰგზავნის სერბიაში, იქ ხელს აწერენ სერბიის მინისტრები და ისე ჰგზავნიან ვენაში. სერბიის პირით რუსეთი მეტყველობს ავსტრიასთანაო, — დასძენენ გაზეთები.

**სპარსეთი**

გაზეთებს ატყობინებენ: „თეირანში მთავრობის ჯარი აჯანყდა, თეირანი აიღო და შაჰის სასახლეს იერიშით მიადგაო. ხმა გავრცელდა, რომ შაჰი მძიმედ არის დაჭრილიო". ოფიციალური ცნობა არ არის ჯერ ამის შესახებ, თუმცა ის კი იყო ოფიციალურათ ნათქვამი, რომ შაჰს უცაბედათ რევოლვერი გაუვარდა და ხელში დაიჭრაო. ამდღეებში კიდევ გადმოგვცეს გაზეთებმა, რომ შაჰის ჭრილობა არც ისე მსუბუქია, როგორც პირველ ხანს ეგონათ, იგი უფრო სერიოზულიაო.

— თეირანიდან იტყობინებიან, ბაღეშაჰში მდგომი ჯარი აჯანყდა, ჯამაგირს თხოულობენო. მდგომარეობა საშიშია. ირანის მბრძანებელი და სამხედრო მინისტრი სასახლეში არიან მიჩქმალულნი. შაჰი ჭრილობით ავად არის და წევსო

---

**რედაქციისაგან**

ამ ნომრისათვის დამზადებულ წერილი **შვარცისა** და აგრეთვე სხვა წერილებიც შემდეგი ნომრისათვის გადაიდო უადგილობის გამო.

რედ.

---

რედაქტორ-გამომცემელი **ლევ. დადიშქელიანი.**

ელექტროტიპოგრაფია **მ. დ. კიკნაძისა**, ტფილისი.
ელისაბედის ქუჩა № 17.